საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

2019

სარჩევი

I. შესავალი 4

II. თანასწორობის მდგომარეობა საქართველოში 6

1. ქალთა თანასწორუფლებიანობა 7

1.1. სექსუალური შევიწროება 7

1.2. გენდერული თანასწორობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჭრილში 10

1.3. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 12

1.4. სუროგატი დედის და სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის დედის მიერ ბავშვის ყოლის გამო შვებულებით სარგებლობა 13

2. შეზღუდული შესაძლებლობა 14

2.1. ფიზიკური მისაწვდომობა 15

2.2. უსინათლო პირთა პრობლემები 16

3. რელიგიის საფუძველზე უთანასწორობა მუსლიმი პირების მიერ საზღვრის კვეთისას წარმოშობილი პრობლემების ჭრილში 18

4. ეროვნება 21

5. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა 21

5.1. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების კონტექსტში 22

5.2. ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების პრობლემები ღონისძიებებისთვის სივრცის მოპოვებისას 25

6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია 26

7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 26

8. დისკრიმინაცია სოციალური უსაფრთხოების სფეროში 28

8.1. მუდმივი ბინადრობის მქონე პირების მიერ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის პრობლემა 28

8.2. მუნიციპალიტეტების ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები 29

9. დისკრიმინაციის წახალისება 32

10. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები და პოლიციელების დისკრიმინაციული დამოკიდებულება 34

III. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა 38

1. საქმისწარმოება 39

2. გადაწყვეტილებები 41

3. თანასწორობის უფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება 43
IV. დასკვნა 44

I. შესავალი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. კანონით, საქართველოს სახალხო დამცველი, საერთო სასამართლოებთან ერთად, თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმად განისაზღვრა. იმავე წლის ნოემბერში, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების განხილვის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა.

კანონის მიღების შედეგად, მე-6 წელია, ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში, ნებისმიერი დაცული საფუძვლით[1] დისკრიმინაციას დაექვემდებარნენ, შესაძლებლობა აქვთ, საჯარო უწყებების, კერძო სამართლის იურიდიული თუ ფიზიკური პირების წინააღმდეგ, სასამართლოს ან სახალხო დამცველის წინაშე იდავონ.

2019 წელი, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის გაუმჯობესების მხრივ, მნიშვნელოვანი იყო. 2015 წლიდან მოყოლებული, სახალხო დამცველი განმეორებით მიუთითებდა, ერთი მხრივ, მისი მანდატის გაძლიერების, მეორე მხრივ, კი რიგი მატერიალურ-სამართლებრივი ცვლილებების აუცილებლობაზე. ამის საპასუხოდ, 2019 წლის მაისში, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონით, კერძო სამართლის პირები საჯარო პირების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოექცნენ. კერძოდ, განისაზღვრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვალდებულება, სახალხო დამცველს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ. ამასთან, სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, მისი რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით, საჯარო უწყებების მსგავსად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების წინააღმდეგაც მიმართოს სასამართლოს. ასევე, დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან ერთ წლამდე გაიზარდა.

მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ამავე წლის თებერვალში, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით *შევიწროების* და *სექსუალური შევიწროების* დისკრიმინაციის ფორმებად განსაზღვრა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ *უარი გონივრულ მისადაგებაზე,* როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი დღემდე არ არის.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო გარანტიების შექმნის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის მიუხედავად, თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ, საქართველოში მდგომარეობა არსებითად არ უმჯობესდება. ამგვარი კრიტიკული ვითარება,

[1]რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, წარმოშობა, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, რელიგია ან რწმენა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გამოხატვა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება ან სხვა ნიშანი.

ერთი მხრივ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ დაუცველი ჯგუფების საჭიროებების და ინტერესების გაუაზრებლობით და მიუღებლობით არის განპირობებული; მეორე მხრივ კი, თანასწორობის მიღწევის მიმართულებით პროგრესს სახელმწიფოს ერთიანი ხედვის არარსებობა აბრკოლებს. კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს არ აქვთ პოლიტიკა თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებით მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების მიმართ. ამის გამო, დისკრიმინაციული პრაქტიკების წინააღმდეგ სისტემური ბრძოლის ნაცვლად, უმეტესწილად, ინდივიდუალური უფლებადარღვევების აღმოფხვრისკენ მიმართული მუშაობა ხდება საჭირო. სამწუხაროდ, თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები არც მაღალი თანამდებობის პირების დღის წესრიგში შეინიშნება. გადაწყვეტილების მიმღები პირები თანასწორობის მხარდამჭერ განცხადებებს კვლავ არ აკეთებენ, მათ შორის, არც ცალკეული ჯგუფების თანასწორუფლებიანობისთვის კრიტიკულ დროს.

დაბალია საჯარო უწყებების მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი. ზოგჯერ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც უწყებები სახალხო დამცველის მოწოდების შესრულების მზადყოფნას გამოთქვამენ, პრაქტიკაში ისინი არ სრულდება. მნიშვნელოვანია, რომ „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშიდან თანასწორობის უფლების შესახებ მხოლოდ რეკომენდაციების 43% აისახა, შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწოდება დადგენილების მიღმა დარჩა.

თანასწორობასთან დაკავშირებული გამოწვევების სისტემურად გააზრებას ასევე უშლის ხელს კომპეტენტურ ორგანოებში - სასამართლოებში, საქართველოს პროკურატურასა თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული სტატისტიკური მონაცემების არარსებობა.

რაც შეეხება ყველაზე დაუცველ ჯგუფებს, კვლავ რჩებიან ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რელიგიური უმცირესობების და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები. საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, საანგარიშო პერიოდში აქტუალური იყო შევიწროების და სექსუალური შევიწროების შემთხვევები. კვლავ პრობლემურია სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება. ისევ დაბრკოლებას წარმოადგენს საჯარო პირების დისკრიმინაციული გამონათქვამები, რომლებიც დაუცველი ჯგუფების უფლებების შელახვას ახალისებს. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები განსაკუთრებული სიხშირით შრომით ურთიერთობებსა და სოციალური უსაფრთხოების უფლებით სარგებლობისას ვლინდება.

წინამდებარე ანგარიში, რომელიც **მოიცავს პერიოდს 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით,** ასახავს საქართველოში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას თანასწორობის კუთხით, ასევე მიმოიხილავს საქართველოს სახალხო

დამცველის მიერ თანასწორობის უფლების დაცვის მიზნით გაწეულ სამუშაოს და სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ ინფორმაციას.

II. თანასწორობის მდგომარეობა საქართველოში

დაუცველი ჯგუფების თანასწორობის მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია. დისკრიმინაციის აკრძალვის მიმართულებით კანონმდებლობის როგორც მატერიალურ, ისე პროცედურულ-სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმჯობესების პარალელურად, სხვადასხვა ჯგუფები ვერ ახერხებენ არსებითი თანასწორობის მიღწევას, რაც უარყოფითად აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში, საკანონმდებლო გარანტიების გარდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღირებულებების გააზრება და მიღება. ამგვარი ცვლილების გარეშე, პრაქტიკული თანასწორობის მიღწევა მნიშვნელოვნად ფერხდება.

არსებით სირთულეებთან არის დაკავშირებული საქართველოში ტრანსფორმაციული თანასწორობის მოპოვება, რამდენადაც, უთანასწორობა, მნიშვნელოვანწილად, ნასაზრდოებია კონკრეტული ჯგუფების, განსაკუთრებით, ლგბტ+ თემის და რელიგიური და ეთნიკური წარმომადგენლების მიმართ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად არსებული სტერეოტიპებით. ამის გათვალისწინებით, ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურება და ამ პრობლემის მოგვარების საპასუხოდ, სახელმწიფოს ინერტული პოზიცია, მეტად ახალისებს დისკრიმინაციული საფუძვლით უფლებადარღვევებს, მათ შორის, ძალადობის შემთხვევებს. ამგვარ ვითარებას, ხშირად, რეტროგრადული ეფექტი აქვს და რიგი მიღწევებიც კი აზრს კარგავს. ამ მხრივ, 2019 წელს ფონად გასდევდა ლგბტ+ თემის გამოხატვის და შეკრების თავისუფლების დარღვევის, კერძო ჯგუფებიდან მომდინარე შემთხვევები, რომელთა დროსაც, სახელმწიფო ვერ ასრულებდა თავის პოზიტიურ ვალდებულებას, დაეცვა თემის ძირითადი უფლებები.

საქართველოს საზღვრის კვეთისას მუსლიმი პირები ამ საანგარიშო პერიოდშიც აწყდებოდნენ დაბრკოლებებს, როგორც შეყოვნების, ისე რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის კუთხით.

ქალთა თანასწორუფლებიანობის მხრივ, აღსანიშნავია სექსუალური შევიწროების პრობლემა, რომლის სიმწვავე და მასშტაბებიც, საკითხის აქტუალიზაციის და საკანონმდებლო რეგულირების პარალელურად, უფრო ნათლად ჩნდება ზედაპირზე. ამასთან, ქალების მიერ არსებით - პრაქტიკულ თანასწორობის მიღწევაზე უარყოფით გავლენას ახდენს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროშიც ვლინდება და ქალის სექსუალობის კონტროლს ისახავს მიზნად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით, უკეთესობისკენ არც საანგარიშო პერიოდში შეცვლილა რაიმე. ფიზიკური თუ სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების სტანდარტი

უზრუნველყოფილი ჯერ კიდევ არ არის და ისინი კვლავ წინა წლებში არსებულ დაბრკოლებებს აწყდებიან.

დაუცველი ჯგუფების მიმართ უარყოფითი წინასწარ აღქმის დამკვიდრებას და შენარჩუნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოლიტიკოსების და სხვა საჯარო პირების სექსისტური, ჰომო/ტრანსფობიური თუ ქსენოფობიური გამონათქვამები. სწორედ ამგვარი სტერეოტიპებით არის, ძირითადად, განპირობებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, რომელთა მსხვერპლები, ყველაზე ხშირად, კვლავ იეჰოვას მოწმეები და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები ხდებიან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თანასწორობის უფლება ჯერ კიდევ მხოლოდ ფორმალურ დონეზეა გარანტირებული. არსებითი და ტრანსფორმაციული თანასწორობის მისაღწევად, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა მართებს.

1. ქალთა თანასწორუფლებიანობა

მრავალი საერთაშორისო თუ ეროვნული ნორმატიული გარანტიის მიუხედავად, საქართველოში გარემო კვლავ არ არის ქალების სპეციფიკურ საჭიროებებზე ორიენტირებული, რაც, არსებითი გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, დამაბრკოლებელი ფაქტორია.

ბოლო წლებში აქტიური საჯარო განხილვების და შემდგომი საკანონმდებლო რეგლამენტაციის შედეგად, სექსუალური შევიწროების ფენომენის სიმწვავე პრაქტიკაშიც მეტად გამოვლინდა, თუმცა, სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილს საკითხის მიმართ კვლავ აგრესიული თუ ირონიული დამოკიდებულება აქვს. ქალების სპეციფიკურ პრობლემებს შორისაა ასევე სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, ასევე პრობლემურია კერძო სექტორში დასაქმებული ქალების მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის პრაქტიკა, ამასთან, რეგულირების მიღმაა დარჩენილი ამ ტიპის შვებულებით სუროგატი დედის ან სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლის მიერ სარგებლობის საკითხი.

1.1.სექსუალური შევიწროება

2019 წლის თებერვალსა და მაისში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, სექსუალური შევიწროების ქცევის განჭვრეტადობის და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების განსაზღვრის თვალსაზრისით, სავარაუდო მსხვერპლისთვის მეტად დაცული სივრცე შექმნა.

2019 წლის თებერვალში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით, სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად გაიწერა და განისაზღვრა როგორც *სექსუალური ხასიათის არასასურველი ფიზიკური, სიტყვიერი ან არასიტყვიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის*

ღირსების შელახვას ან მტრულ გარემოს უქმნის მას. დისკრიმინაციის სხვა შემთხვევების მსგავსად, სექსუალური შევიწროების ფაქტების გადაწყვეტის კომპეტენციით საერთო სასამართლოები და სახალხო დამცველი ისარგებლებენ.

მოგვიანებით, ამავე წლის მაისში, შრომის კოდექსში გაჩნდა სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ნორმა. იმის მიუხედავად, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, შრომით ურთიერთობებზეც ვრცელდება, სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ნორმის სპეციალურ კანონში ასახვა მნიშვნელოვანია იმაზე მისათითებლად, რომ შრომითი ურთიერთობები სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი ყველა ხშირი წყაროა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შრომის კოდექსით, დამსაქმებელს გაუჩნდა ვალდებულება, დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები ასახოს შრომის შინაგანაწესში. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებაზე ეფექტიან რეაგირებასა და პრევენციას და, მეორე მხრივ, დამსაქმებლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას, სექსუალური შევიწროების ფაქტზე უმოქმედობის შემთხვევაში.

საზოგადოებაში სექსუალური შევიწროების ფენომენთან დაკავშირებით აქტიურმა დისკუსიამ, გარკვეულწილად, აამაღლა ცნობიერება, თუ რა ქცევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სექსუალურ შევიწროებად. და გაზარდა სახალხო დამცველისადმი მომართვიანობაც, რამაც სახალხო დამცველს სამართლებრივი სტანდარტების განვითარებისა და სექსუალური შევიწროების ინდიკატორების შემუშავების შესაძლებლობა მისცა.

სახალხო დამცველი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად შეისწავლიდა სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტებს, როგორც უკვე არსებული სამართლებრივი ჩარჩოს, ასევე, საერთაშორისოდ დადგენილი პრაქტიკისა და მიდგომების გათვალისწინებით.[2] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ საქმეში, სახალხო დამცველმა შეაფასა არამხოლოდ შემავიწროებლის ქცევა, არამედ კერძო კომპანიის რეაგირებაც, სამუშაო ადგილზე მომხდარი სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით.[3]

სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტები განსაკუთრებული სიმწვავით სამუშაო ადგილზე და შემავიწროებლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხდება. შემავიწროებლის ქცევა გამოიხატებოდა ვერბალურ, არავერბალურ და ფიზიკური სახის

---

[2]სახალხო დამცველის 2018 წლის 1 ნოემბერის რეკომენდაცია ზ. დ.-ს, ხელმისაწვდომია: shorturl.at/qruyV; სახალხო დამცველის 2019 წლის 19 ოქტომბრის რეკომენდაცია მ. ჩ.-ს/შპს „ლ. პ. ჯ.“, ხელმისაწვდომია: shorturl.at/ac135; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 18 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხელმისაწვდომია: shorturl.at/npMQ6;

[3] სახალხო დამცველის 2019 წლის 19 ოქტომბრის რეკომენდაცია მ. ჩ.-ს/შპს „ლ. პ. ჯ.“, ხელმისაწვდომია: shorturl.at/dBRY3

სექსუალური ხასიათის ქმედებაში - კერძოდ, შემავიწროებლების მიერ მსხვერპლის სხეულის ცალკეულ ნაწილებზე შეხებასა და ინტიმურ კომენტარებში; სექსუალური გამოცდილებისა და პრეფერენციების შესახებ საუბარში; სქესობრივი კავშირის შეთავაზებასა და სხვ. აღსანიშნავია, რომ შემავიწროებლები თუ მესამე პირები, შემავიწროებლის სექსუალური ხასიათის ქცევის გასამართლებლად, ხშირად, აქცენტს აკეთებენ მსხვერპლის არაფხიზელ მდგომარეობაზე, სექსუალურ ორიენტაციასა თუ სხვა პირად მახასიათებელზე. შესაბამისად, სახალხო დამცველი განსაკუთრებული მგრძნობელობით განიხილავს სექსუალური შევიწროების ფაქტებს, რათა არ მოხდეს მსხვერპლთა განმეორებით ვიქტიმიზაცია.

ამასთან, წინგადადგმული ნაბიჯია, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი სექსუალური შევიწროება კანონმდებელმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მოიაზრა, რის შედეგადაც საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით, სამართლებრივი დაცვის ახალი მექანიზმი გაუჩნდა. ამ მხრივ, პრიორიტეტულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სწორად მიეწოდოთ ინფორმაცია და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლი პრაქტიკაში ეფექტიანად აღსრულდეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის მაისიდან სექტემბრის ბოლომდე, სასამართლომ საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 14 შემთხვევა დაადგინა და 13 ადამიანი ცნო სამართალდამრღვევად. თუმცა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი შემოსულ შეტყობინებაზე რეაგირებისა და სექსუალური შევიწროების ფაქტის არარსებობის გამო საქმისწარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით, სტატისტიკურ მონაცემებს არ ამუშავებს, რაც პრობლემურია საკითხის მასშტაბის განსაზღვრის თვალსაზრისით, ვინაიდან შსს-ს მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემი არ იძლევა ინფორმაციას, თუ რამდენად ხშირია სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით მიმართვიანობა და მოჰყვა თუ არა მათ ეფექტიანი რეაგირება.

საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია უფლებადაცვის მექანიზმებს შორის კომპეტენციების გადაფარვის შესაძლებლობაც - ვინაიდან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით სახალხო დამცველის მანდატი ნებისმიერ სფეროში მომხდარ სავარაუდო ფაქტებზე ვრცელდება, შესაძლებელია, პრაქტიკაში, საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით, გაძნელდეს სახალხო დამცველისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციების გამიჯვნა, განსაკუთრებით, *საზოგადოებრივი ადგილის* განმარტებისას.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სექსუალური შევიწროების საკითხის აქტუალიზაცია და შემდგომი საკანონმდებლო რეგლამენტაცია იმ მსხვერპლი ქალების

დამსახურებაა, რომლებმაც, ჯერ კიდევ ინფორმაციის და კანონმდებლობის არარსებობის პირობებში, სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება გადაწყვიტეს.

1.2.გენდერული თანასწორობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჭრილში

გენდერული თანასწორობის საკითხი პირდაპირ კავშირშია ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებთან.[4] ამდენად, ქალთა უფლებები მოიცავს უფლებას, დისკრიმინაციული მოპყრობის გარეშე აკონტროლონ საკუთარ სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით.[5] საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება - სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამის არსებობის აუცილებლობაზე; ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) საკითხსა და ე. წ. „ქალიშვილობის ტესტის“ პრაქტიკაზე.

კვლავ პრობლემად რჩება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლება ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტაზე. აღსანიშნავია, რომ 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენება არის *სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად* დამდგარი ორსულობა.[6] გაუპატიურების მსხვერპლი ქალისათვის ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის დაფინანსების შესახებ მსჯელობისას, სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, როგორც ორსულობის შეწყვეტის წინაპირობის განხილვა, შესაძლოა გონივრულობას იყოს მოკლებული, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე პირის დაზარალებულად ცნობა, სავარაუდო დამნაშავის გამოვლენა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, ხშირ შემთხვევაში, იმდენად ხანგრძლივ პერიოდს უკავშირდება, რომ შესაძლოა ორსულობის პერიოდსაც გადააჭარბოს. მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მოექცეს არა ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოში, არამედ გათვალისწინებული იყოს სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულებული ქალის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ამ მოვლენის მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული სტიგმა და, ამ მხრივ, მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული მიდგომის აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის ანგარიშის შესახებ დადგენილებით გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულების შემთხვევაში, დასაფინანსებლად და

---

[4] Dr. Carmel Shalev, Rights to Sexual and Reproductive Health – the ICPD and the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women, 1998, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/huHIV

[5] The Beijing Platform for Action, C. Women and Health, §96 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/gnHK8

[6] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანების №5 დანართი

ორსულობის შესაწყვეტად, საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება. მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით იკვეთება, ცვლილებები არ იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული საკითხები, რომლებიც რეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე, პრაქტიკაში დისკრიმინაციულად სრულდება. მაგალითად, საზოგადოებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქალისა და მამაკაცისათვის მისაღები ქცევის სტანდარტი და განსაზღვრული სოციალურ-კულტურული როლები არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ქალებს და, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების გამოყენების თვალსაზრისით, მათ ბარიერებს უქმნის.

ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლებაა ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) შემთხვევაში მისი მეუღლის/პარტნიორის თანხმობის მოთხოვნა, როგორც პროცედურის ჩატარების წინაპირობა.[7] მიუხედავად იმისა, რომ მეუღლის ანდა პარტნიორის თანხმობის ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი არ არის, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებები თვითნებურად ითხოვენ მეუღლის/პარტნიორის თანხმობას, რაც ქალის თავისუფალ არჩევანში ჩარევად და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტროლის მექანიზმად გვესახება. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების[8] საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს მასშტაბით მომუშავე პერინატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ, მართალია, ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) შემთხვევაში მისი მეუღლის/პარტნიორის თანხმობა, სამედიცინო ჩარევის წინაპირობა არ არის, თუმცა კი, ამის მიუხედავად გვხვდება ცუდი პრაქტიკა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ პერინატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, ამ მიმართულებით, სწორი პრაქტიკა ჩამოყალიბდება.

ქალის სექსუალობის კონტროლს ემსახურება ე. წ. „ქალიშვილობის ტესტიც“, რომელსაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა „სქესობრივი ხასიათის ქმედების შემთხვევაში, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“, რომელსაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ატარებს, ცალკეულ შემთხვევებში, ფიზიკური პირების მიერ, შესაძლოა, ბოროტადაც იქნეს გამოყენებული. არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ქალთა უფლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ფიზიკური პირის მიერ ექსპერტიზის დაკვეთისას, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს დამკვეთის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას, ეჭვის არსებობის

[7]სახალხო დამცველის 2018 წლის 28 სექტემბრის ზოგადი წინადადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/FPW58

[8] ხელმისაწვდომია: shorturl.at/abkD1

შემთხვევაში, უარი განუცხადოს პროცედურის ჩატარებაზე და დაუყოვნებლივ მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

1.3.შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

კერძო სექტორში დასაქმებულის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. სახალხო დამცველისათვის „კოალიცია თანასწორობისათვის“ წევრი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქალების მხრიდან მიმართვიანობა შენარჩუნებულია. არის შემთხვევები, როდესაც ორსულობის გამო შვებულების გაცემისაგან თავის არიდების მიზნით, კერძო კომპანიები რეორგანიზაციის საფუძველს ან სხვა მიზეზს იყენებენ.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული მიდგომების შესახებ, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა სხვადასხვა პროფილის 13 დიდი კერძო კომპანიიდან.[9] როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, კერძო კომპანიების უმრავლესობას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების საკითხი შინაგანაწესით აქვს დარეგულირებული. კომპანიათა რეგულირება ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მეტ-ნაკლებად, გამოკვეთს საერთო მიდგომას და ძირითადად, ითვალისწინებს 6 თვით, 4 თვით, 3 თვით ანაზღაურებით ან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო აუნაზღაურებელ შვებულებას. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, 6 თვით ანაზღაურებისას, კომპანიები მისაღებ თანხასა და სახელწიფოს გასაცემ 1000 ლარს შორის სხვაობას დაიანგარიშებენ და დასაქმებულს სწორედ აღნიშნული სხვაობით განსაზღვრული ოდენობა ეძლევა. ერთეულ შემთხვევაში გვხვდება კომპანიის მიერ ხელფასის 50% (3 თვე) და 25 %-ით (3 თვე) ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ კერძო კომპანიებს ანაზღაურების მიღების წინაპირობად ან ანაზღაურების ოდენობის ინდიკატორად განსაზღვრული აქვთ კომპანიაში დასაქმების ხანგრძლივობა. ხოლო რამდენიმე შემთხვევაში, ინდიკატორს დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულების სახე წარმოადგენს, რომელიც ადგენს, რომ თუკი დასაქმებულთან დადებულია ვადიანი ან მომსახურების ხელშეკრულება, კომპანია არ ანაზღაურებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებას.

ამასთან, ფარმაცევტული კომპანიების, „ავერსი ფარმა“ და „პსპ ფარმა“, ცნობით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება მათთან საერთოდ არ ხდება, თუმცა „პსპ ფარმა“ ერთჯერად ფიქსირებულ დახმარებას გასცემს დასაქმებულზე.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობასა და ანაზღაურების ოდენობასთან

[9] კომპანიების ჩამონათვალი: სს „საქართველოს რკინიგზა“; შპს „საქართველოს ფოსტა“; შპს “თბილისი ენერჯი”; სს „თელასი“; სს „თი ბი სი ბანკი“; სს „დი ენ ბი საქართველო“ *(ვენდისი და დანქინ დონათსი);* სს „ვისოლ პეტროლიუმი“; შპს „ავერსი-ფარმა“; შპს „პსპ ფარმა“; სს „სილქნეტი“; სს „მაგთიკომი“; შპს „ტავ ჯორჯია“; შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“.

დაკავშირებით კერძო კომპანიების პრაქტიკა განსხვავებულია. ეს საკითხი თითოეული კომპანიის შინაგანაწესით რეგულირდება და შესაბამისად, ყოველი კონკრეტული კერძო კომპანიის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

1.4.სუროგატი დედის და სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის დედის მიერ ბავშვის ყოლის გამო შვებულებით სარგებლობა

საქართველოს „შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებას, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებასა და ბავშვის მოვლის გამო დამატებით შვებულებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაშვებულია სუროგაციის ინსტიტუტი,[10] საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ აწესრიგებს სუროგატი დედის და სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის დედის მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენების საკითხებს. არც სასამართლოების პრაქტიკაში მოიძიება რაიმე სახის განმარტება, რომელიც საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში საკითხს გადაჭრიდა.

ჯანდაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, სამართლებრივი აქტებით,[11] რომელიც მსგავსი სახის შვებულებით სარგებლობის საკითხს აწესრიგებს, არ რეგულირდება სუროგატი დედისა და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისა ან/და ანაზღაურების საკითხები.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ორსული ქალის მიმართ დისკრიმინაციის დასადგენად, შესადარებელი პირის არსებობა აუცილებელი არ არის.[12] ამგვარი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ორსულობაზე, როგორც ქალის უნიკალურ მდგომარეობასა და მის საჭიროებებზე მორგებული გარემოს აუცილებლობაზე. საქართველოს საკანონმდებლო რეგულაცია კი, სუროგატ დედას და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დედას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრომითი უფლებით სარგებლობიდან დისკრიმინაციულად გამორიცხავს.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სათანადოდ გაიაზროს, რომ ქალების აღნიშნული ჯგუფი, თავისი სპეციფიკური საჭიროებებიდან და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების სარგებლობის მიზნებიდან გამომდინარე, არსებითად თანასწორია იმ ქალებისა, რომელთა ორსულობა, მშობიარობა ანდა ბავშვის მოვლა სუროგაციასთან

---

[10] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი(მუხ. 143), „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხ. 30), „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხ. 19).

[11] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 26 აგვისტოს №231/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“ მე-6 მუხლი; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტი; „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

[12] CJEU, Elisabeth Johanna Pacifica Dekker v Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV Centrum) Plus, C-177/88, 1990; Webb v EMO Air Cargo, C-32/93, 1994

დაკავშირებული არ არის, ხოლო საჭიროებების შესაბამისი პერიოდის განმავლობაში მათი შვებულებით სარგებლობიდან გამორიცხვა, დისკრიმინაციულია.

კერძოდ, ქალი, რომელიც სუროგატ დედობას სწევს, გადის სხვა ორსული ქალების მსგავს ორსულობის და მშობიარობის ბიოლოგიურ პროცესს, გააჩნია ანალოგიური სამედიცინო თუ ფსიქო-სოციალური თავისებურებები და, სამუშაოსგან თავისუფალი დროის მხრივ, ისევე საჭიროებს შესაბამისი შვებულების სახით სარგებლობას.

ამასთან, ბავშვის მოვლის გამო შვებულების სარგებლობის მიზნებისთვის, არსებითად თანასწორ მდგომარეობაში იმყოფება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ბიოლოგიური დედაც, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების მიცემის შესაძლებლობას, რაც, თავისთავად, მხოლოდ ბავშვის მოვლის პროცესს გულისხმობს.

შესაბამისად, დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობით გაიწეროს სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დედის მიერ შვებულებით სარგებლობის საკითხი. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დამსაქმებლის პრაქტიკის თანახმად, აღნიშნულ ჯგუფებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისარგებლონ შვებულების სხვა სახეებით, რაც დისკრიმინაციის აღმოფხვრის საშუალებად ვერ ჩაითვლება.

2. შეზღუდული შესაძლებლობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა არც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულა. სხვადასხვა მომსახურებაზე წვდომის მხრივ, პრობლემები ექმნებათ როგორც ფიზიკური შეზღუდვის მქონე, ისე უსინათლო პირებს.

იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოს 2013 წლიდან რატიფიცირებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, საქართველოს კანონმდებლობაში რიგი დებულებები დღემდე არ ასახულა. მაგალითად, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არ იცნობს *გონივრულ მისადაგებას,* როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.

ამას გარდა, სტიგმა და სხვადასხვა სახის სტერეოტიპი, რომელიც კვლავ ფართოდ არის გავრცელებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელს უშლის სრულად იყვნენ ინტეგრირებული საზოგადოებაში. ამგვარი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აფერხებს მათ, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სათანადოდ ისარგებლონ ძირითადი უფლებებით. მაგალითად, სახალხო დამცველმა განიხილა ორი შემთხვევა, რომლებიც ეხებოდა თვითმფრინავში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დაშვებაზე უარს, რის მიზეზადაც ბავშვების სამედიცინო დიაგნოზი დასახელდა.

კვლავ უთანასწორო პირობებში არიან საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც (გარდა მკვეთრად და მხედველობის გამო

მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა), კერძო სექტორში დასაქმებულთაგან განსხვავებით, სოციალური პაკეტით ვერ სარგებლობენ.[13] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის[14] თანახმად, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაზე, სადაც განიხილება არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის, ასაკით პენსიის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური პაკეტის ოდენობის გაზრდის მიმართულებით, შესაბამისად, ამ პროცესში გაანალიზდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჯარო საქმიანობის განხორციელების პარალელურად სოციალური პაკეტით სარგებლობის სამართლებრივი და საფინანსო-ეკონომიკური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით წინა წელსაც ანალოგიური იყო, დისკრიმინაცია ამ დრომდე არ აღმოფხვრილა.[15] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის დასახელებული რეკომენდაცია გაიზიარა საქართველოს პარლამენტმა და სახალხო დამცველის ანგარიშის შესახებ 2019 წლის დადგენილებაში[16] ასახა როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულება.

2.1.ფიზიკური მისაწვდომობა

ფიზიკურ გარემოზე წვდომის მხრივ, კვლავ არაფერი გაუმჯობესებულა, რაც, ბუნებრივია, აფერხებს ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ, გარკვეულწილად, გაითვალისწინა სახალხო დამცველის 2018 წლის რეკომენდაცია, *გეოგრაფიული თვალსაზრისით განიხილა სანოტარო ბიუროების ფიზიკური მისაწვდომობის საკითხი*[17] და თბილისში, ბათუმში, მცხეთაში, რუსთავში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდსა და თელავში არსებული ბიუროების მოწყობას შესაბამისი სტანდარტით შეუდგა. ასევე, ონლაინ განთავსდა ინფორმაცია 19 მისაწვდომი ბიუროს თაობაზე. თუმცა, კერძო თუ საჯარო დაწესებულების შენობების აბსოლუტური უმრავლესობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის, კვლავ ხელმიუწვდომელია.

---

[13] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 31 მაისის რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/efIR5

[14] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2019 წლის 9 აგვისტოს GOV 2 19 00031723 წერილი.

[15] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 123, ხელმისაწვდომია: shorturl.at/fwHSU

[16] საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილება „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“.

[17] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 აპრილის რეკომენდაცია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/kzW09

სახალხო დამცველმა წინა წლის საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციულად მიიჩნია თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალური პარკირების ახალი წესი, რომელიც უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირებს აძლევს. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია არ შეუცვლია თბილისის საკრებულოს, რომლის თანახმად, ამგვარი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან კანონმდებლობა ზოგადად განასხვავებს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდვას, ახალი რეგულაცია კი შეღავათს იმ პირთა წრის მიმართ აწესებს, რომელიც ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, უფრო მაღალი ხარისხის მხარდაჭერას საჭიროებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის მიხედვით, აუცილებელია, სახელწიფოს მიერ სპეციალური საჭიროების მქონე პირების გათანაბრებისთვის დაწესებული რეგულაციები ადამიანებს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ენიჭებოდეთ.[18] სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართა რეკომენდაციით, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი იმგვარად განსაზღვროს, რომ სპეციალური საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალურ საჭიროებასთან.[19]

ასევე აღსანიშნავია ევროპის საბჭოს კვლევაში, „სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“, ასახული ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.[20] კვლევის თანახმად, სასამართლო შენობების უმრავლესობას არ უკავშირდება მუნიციპალური ტრანსპორტი, ამასთან, შენობების უმეტესობას არ აქვს ორგანიზებული ეზო და პარკინგი, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შენობამდე შეუფერხებლად მისვლის საშუალებას მისცემდა. ყველა სასამართლოს შენობაში კვლავ გამოწვევად რჩება პანდუსების არარსებობა, არც შიდა და გარე კიბეები აკმაყოფილებს მისაწვდომობის დამტკიცებულ სტანდარტს.

2.2.უსინათლო პირთა პრობლემები

განსაკუთრებული სიმწვავით დგას მხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვის მქონე პირების საკითხი. ძირითად შემთხვევებში, უზრუნველყოფილი არ არის წვდომა ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, რაც დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ყველა სოციალურ სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის გარანტი იქნებოდა. მაგალითად, უსინათლო პირებს დაბრკოლებები ექმნებათ საჯარო რეესტრში, ბანკებსა და სანოტარო ბიუროებში სხვადასხვა

[18] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/gowBO

[19] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 124, ხელმისაწვდომია: shorturl.at/hxCJL

[20] ხელმისაწვდომია: shorturl.at/eEHR4

გარიგების დადებისას. პრობლემურია, რომ უსინათლო ადამიანებს არ ეძლევათ დამოუკიდებლად დოკუმენტის გაცნობის/ხელმოწერის შესაძლებლობა და, როგორც წესი, მათ სთხოვენ, თანხმობა სხვა პირის ხელმოწერით დაადასტურონ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილება,[21] რომელიც ითვალისწინებს უსინათლო პირის მიერ წერილობითი გარიგების დამოუკიდებლად დადების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილება სწრაფად გახდეს კანონმდებლობის ნაწილი.

ამასთან, უსინათლო პირთათვის ბრაილის შრიფტის, ჟესტების ენის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის ან/და სხვა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენებით ინფორმაციისა და სერვისების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სირთულე, ორი მიმართულებით გამოვლინდა. ერთ შემთხვევაში[22] გამოიკვეთა, რომ ბრაილის შრიფტით ან სხვა ტექნიკური ალტერნატიული საშუალებით, ხელმისაწვდომი არ არის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია, რის გამოც უსინათლო პირები იძულებულები ხდებიან უარი თქვან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლად ყოფნაზე.[23] აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტრო განიხილავს სატელეკომუნიკაციო საშუალების გამოყენების შესაძლებლობას, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ „ოჯახის დეკლარაციის“ შევსების პროცესის ტელეფონის მეშვეობით ჩასაწერად, მაძიებელი/რეგისტრირებული პირის თანხმობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, სახალხო დამცველმა იმსჯელა უსინათლო და მცირემხედველი პირების უფლებაზე, მიმართონ ადმინისტრაციულ ორგანოს - მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებს არ აქვთ მთავრობის ადმინისტრაციისადმი ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა.[24]

მნიშვნელოვანია, რომ ორივე რეკომენდაცია აისახა სახალხო დამცველის ანგარიშის შესახებ პარლამენტის დადგენილებაში.[25] კერძოდ, დადგენილებაში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის ბრაილის შრიფტით და სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა.

---

[21] ხელმისაწვდომია: shorturl.at/bgETY

[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/cmxyF

[23] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

[24] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/ijuxR

[25] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილება „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“.

ამასთან, დადგენილებაში ასახულია რეკომენდაცია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით.

მხედველობის პრობლემის მქონე პირთა პრობლემებზე ყურადღება გამახვილებულია ევროპის საბჭოს კვლევაშიც, „სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“, რომლის თანახმად, ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისათვის სერვისები მისაწვდომია რამდენიმე სასამართლოში, თუმცა სენსორული შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის ადაპტირება არ აქვს არცერთ სასამართლოს. კვლევაში განხილულია სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისათვის წვდომასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, საინფორმაციო დაფებზე, საინფორმაციო ნიშნებზე, გზის მანიშნებლებისა და ტაქტილური რუკების არარსებობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ასევე მიუწვდომელია შენობებში განთავსებული საინფორმაციო სერვისები, თანამშრომლებთან კომუნიკაციის საშუალებები, საჩივრის ყუთები და ტაბლოები.

3. რელიგიის საფუძველზე უთანასწორობა მუსლიმი პირების მიერ საზღვრის კვეთისას წარმოშობილი პრობლემების ჭრილში

2019 წლის განმავლობაში სახალხო დამცველისადმი შენარჩუნებულია მომართვიანობა მუსლიმი პირების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევების თაობაზე. როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2017[26] და 2018[27] წლების სპეციალურ ანგარიშებშიც არის მითითებული, სახალხო დამცველი პერიოდულად განიხილავს შემთხვევებს, რომელთა თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას მუსლიმ პირებს პრობლემები ექმნებათ. კერძოდ, მათ აყოვნებდნენ საზღვარზე, ინტერესდებოდნენ მათი მოგზაურობის მიზეზით, თურქეთის რესპუბლიკასთან კავშირითა და სხვა მუსლიმ პირებთან ურთიერთობებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2017 წლის 24 აპრილს, სახალხო დამცველმა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტზე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ „შემოსავლების სამსახურს და მოუწოდა, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით და ინდივიდუალურ საფუძველზე განახორციელოს შემომსვლელ და გამსვლელ პირთა საპასპორტო-სავიზო კონტროლი და თანმდევი საბაჟო პროცედურები; ამასთან, რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის პრინციპის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეტაპობრივად

[26] დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში. გვ. 25-26.
[27] დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2018 წლის სპეციალური ანგარიში. გვ. 5-6.

გადამზადდნენ ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საპასპორტო-სავიზო კონტროლს და თანმდევ საბაჟო პროცედურებს".[28]

ამავე საკითხზე სახალხო დამცველის 2017 წლის რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის კვეთისას, სავიზო-საპასპორტო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების მხრიდან დაბრკოლებები ექმნებოდათ მუსლიმ პირებს. მათ აყოვნებდნენ და კითხვებს უსვამდნენ მათი გარეგნობის, რელიგიური აღმსარებლობისა და ცხოვრების წესის შესახებ. ამასთან, ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ ნებაყოფლობით დათმონ მათი კუთვნილი რელიგიური ლიტერატურა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მიმოსვლის თავისუფლების და საკუთრების უფლებების შეზღუდვის გზით, ადგილი ჰქონდა განმცხადებელთა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას.

აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ *იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.* ხოლო, 2017 წლის 10 ივლისის წერილით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ *ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აღნიშნულ თემატიკაში მომზადებას გაივლის შს სამინისტროს 24 მომავალი თანამშრომელი. აგრეთვე, ივლისიდან, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს სასწავლო ტრენინგი თემატიკაზე: „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც სასაზღვრო პოლიციის, ისე შს სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. პირველ ეტაპზე გადამზადდება 139 თანამშრომელი. აღნიშნული აქტივობა 2017 წლის ბოლომდე გაგრძელდება.*

2019 წლის ოქტომბერში, სახალხო დამცველის მიერ განახლებული ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ, შემოსავლების სამსახურმა განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში ამჟამად დასაქმებულია 1755 თანამშრომელი, რომელთა უმრავლესობას შეხება აქვს საბაჟო პროცედურებთან. საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, რთულია ამ რაოდენობის თანამშრომელთა გადამზადება ტრენინგების პროვაიდერი ორგანიზაციის (ფინანსთა სამინისტროს აკადემიის) სილაბუსით გათვალისწინებული ტრენინგ კურსების მიღმა. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხებზე, ტრენინგ კურსის ორგანიზება ვერ ხერხდება. ამასთან, 2019 წლის ნოემბრიდან იგეგმება საბაჟო დეპარტამენტის სერვისის განმახორციელებელი თანამშრომლების გადამზადება ეფექტიანი მომსახურების მიმართულებით. აღნიშნული ტრენინგ კურსი კი მოიცავს თანამშრომელთა ინფორმირებას რელიგიური ნეიტრალიტეტის ნაწილშიც.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2017 წლის ივლისიდან - დეკემბრამდე, რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის პრინციპის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად,

[28]იხ. ვებგვერდი: http://www.ombudsman.ge/geo/190308042216rekomendatsiebi/saqartvelos-saxalxo-damcvelma-muslimebis-mier-saqartvelos-sazgvris-kvetisas-religiis-nishnit-pirdapiri-diskriminacia-daadgina

მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა 23 მსმენელმა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო ტრენინგი თემატიკაზე: „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი“ გაიარა - სასაზღვრო პოლიციის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და სამინისტროს კრიმინალური პოლიციის 189 მოქმედმა თანამშრომელმა. აღნიშნული აქტივობა 2017 წლის ბოლომდე გაგრძელდა. ამასთან, 2017 წლიდან დღემდე, აკადემიაში მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ზემოაღნიშნული თემატიკა გაიარა 112 მსმენელმა. აკადემია, სხვადასხვა სპეციალური პროფესიული პროგრამის, მათ შორის, მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების პროგრამებისა და ტრენინგების ფარგლებში, მუდმივად ეწევა სამინისტროს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას, რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის პრინციპის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, მიმდინარე წელს, მუსლიმი პირებისთვის საზღვრის კვეთისას ბარგში არსებული რელიგიური ლიტერატურის ნებაყოფლობით დათმობის შეთავაზების შემთხვევები შემცირდა. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა 2016 წელს, როდესაც სახეზე იყო ბეჭდური მასალის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის 7 სხვადასხვა ფაქტი, ჯამში 143 წიგნის თაობაზე. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 12 ივლისამდე პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, მხოლოდ „სარფში“,ბეჭდური ლიტერატურის ნებაყოფლობით სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის 3 ფაქტი გამოვლინდა, რაც 2016 წელთან შედარებით, შემცირებული რაოდენობაა.

თუმცა საზღვარზე შეყოვნების შემთხვევები, კვლავ აქტუალურია. სამწუხაროდ, როგორც სახალხო დამცველის გამოცდილება აჩვენებს, ამ კატეგორიის საქმეების შესწავლას მნიშვნელოვნად ართულებს არასაკმარისი მტკიცებულებები.

2019 წლის მონაცემებით, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ორმა სხვადასხვა პირმა. ერთ შემთხვევაში, განმცხადებელი სახელმწიფო საზღვრის კვეთისას არაგონივრული ვადით დაყოვნებასთან დაკავშირებით დავობდა, რის მიზეზადაც ასახელებდა თავისი ძმის კავშირს მუსლიმურ რელიგიურ ორგანიზაციებთან და ზოგადად რელიგიურ საქმიანობას.

მეორე შემთხვევაში, განმცხადებელი განმარტავდა, რომ არის ეთნიკურად ირანელი საქართველოს მოქალაქე, დაიბადა და გაიზარდა ირანში, მოგვიანებით მიიღო ქრისტიანობა და ირანში არსებული რელიგიური დევნის გამო, 2011 წლიდან ცხოვრობს საქართველოში. 2013 წელს დააარსა ქრისტიანული ორგანიზაცია და საქართველოში ეწევა რელიგიურ პრაქტიკას. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა საზღვრის კვეთისას მის მიმართ დასმულ დამატებით შეკითხვებზე და სხვებთან შედარებით, შემოწმების პროცედურის ხანგრძლივობაზე.

განსახილველ შემთხვევებში, სახალხო დამცველისთვის მწვავედ იდგა მტკიცებულებების მოპოვების საკითხი, რასაც ძირითადად განაპირობებდა ის გარემოება, რომ შინაგან საქმეთა

სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი მასალები არ იძლეოდა განმცხადებლების მიერ მითითებული საზღვრის კვეთის კონკრეტული ფაქტების არსებითად და შინაარსობრივად შეფასების შესაძლებლობას.

4. ეროვნება

საბანკო მომსახურების სფეროში კონკრეტული სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ ბლანკეტური დისკრიმინაციული მიდგომა კვლავ შენარჩუნებულია. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საბანკო მომსახურების სფეროში არსებულ მწვავე პრობლემაზე მიუთითებს ისიც, რომ სახალხო დამცველის მიერ ზოგადი წინადადების გამოცემის[29] შემდეგაც, ამ მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა.[30] წინა წლებში, ნიგერიის, ირანის და სირიის მოქალაქეებს დაბრკოლებები ექმნებოდათ საბანკო ანგარიშის გახსნისას, სტუდენტური ბარათის, თუ საბანკო ამონაწერის მიღებისას.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია ეროვნული ბანკის მიმართ - *შეემუშავებინა მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფდა უცხო ქვეყნის__მოქალაქეებისათვის კომერციულ ბანკებში საბანკო მომსახურების მიღებას დისკრიმინაციის გარეშე, ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად,* საქართველოს პარლამენტის სახალხო დამცველის ანგარიშის შესახებ დადგენილებაში არ ასახულა.

საანგარიშო პერიოდში პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა საბანკო ანგარიშის საკომისიოს გაზრდის საკითხი. ერთ-ერთ შემთხვევაში სს „საქართველოს ბანკმა“ ირანის მოქალაქეებისათვის გაზარდა საბანკო ანგარიშის მომსახურების წლიური საკომისიოს ოდენობა. ბანკის განმარტებით,[31] 2018 წლის ნოემბრიდან, საბანკო მომსახურების საკომისიო გაეზარდათ მაღალი რისკის სტატუსის მქონე ქვეყნების რეზიდენტებს/მოქალაქეებს, რაც განპირობებულია გაძლიერებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების პროცესში ბანკის მიერ გასაწევი ადამიანური თუ ფინანსური რესურსების ოდენობით. ამასთან, „კოალიცია თანასწორობისათვის“ წევრი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ბანკთან ურთიერთობისას მსგავსი პრობლემები ექმნებათ უკრაინის და ტაჯიკეთის მოქალაქეებსაც.

5. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ მძიმე გამოწვევად რჩება. ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში დაუცველია. საზოგადოების ნაწილში არსებული ფობიები და სტიგმები მნიშვნელოვნად ასაზრდოებს თემის წევრების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას. მაგალითად,

---

[29] საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს ეროვნულ ბანკს, სრული ვერსია იხილეთ: shorturl.at/hvwBY

[30] საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 27 აპრილის წერილი №2-14/1389 *მოწოდებული წერილის თანახმად, საბანკო მომსახურების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, შესაბამისი სტანდარტები კი - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ, რაც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ეროვნულმა ბანკმა ასევე აღნიშნა, რომ რიგი შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამოსავლენად და შესამცირებლად.*

[31] სს „საქართველოს ბანკის“ 2018 წლის 10 დეკემბრის წერილი №07/8154

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენებული სამედიცინო ლიტერატურა შეიცავდა ლგბტ+ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელ და სტერეოტიპებზე დამყარებულ შინაარსს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია, ვინაიდან პროფესიულ წრეებში ჰომოფობიური განწყობების გაღვივება, შესაძლოა, შემდგომში მათ საქმიანობაში უთანასწორო მოპყრობის წინაპირობაც გახდეს.

წინა წლების მსგავსად, საზოგადოებაში კვლავ ძლიერია ჰომოფობიური და ტრანსფობიური ჯგუფების გავლენა, რის გამოც ლგბტ+ ადამიანები განიცდიან ჩაგვრას და დისკრიმინაციას და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯები ჯერაც არ გადაუდგამს, რაც ლგბტ+ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე მძიმედ აისახება.

5.1.ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების კონტექსტში

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით კრიტიკული იყო მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით. ამ მხრივ, ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. მაშინ, როდესაც უფლებების შეზღუდვის ფაქტები კერძო პირებიდან მომდინარეობს, სახელმწიფო, უმეტეს შემთხვევაში, უმოქმედო რჩება და პოზიტიურ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.

2019 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლო წლებში ლგბტ+ თემის წარმომადგენლების გამოხატვის და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ინდივიდუალური ფაქტების სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გააზრებისა და ამ მიმართულებით ერთიანი პრევენციული და რეაქტიული ღონისძიებების დაგეგმვისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია 2018 წლის 9 სექტემბერის ინციდენტი, რომელიც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტნის, გურამ კაშიას მხარდასაჭერად „დინამო-არენაზე“ ლგბტ+ თემის წევრთა და მათ მხარდამჭერთა მიერ ლგბტ+ სიმბოლიკის შემცველი ნივთების ტარების აკრძალვას ეხებოდა. ეს მოვლენა, ფაქტობრივად, 2019 წელს თემის გამოხატვის თავისუფლების ჯაჭვური შეზღუდვების საწყისი წერტილი გახდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კითხვებს აჩენდა სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა და ბუნდოვანი იყო მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხიც - პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ პირობებში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისას, არ მიმდინარეობს მიღებული გადაწყვეტილების წერილობით გაფორმება, რაც ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტია გატარებული ღონისძიებების კანონიერების შესაფასებლად. ამასთან, სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, უწყების მხრიდან არ ხდებოდა დროული და სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება, რაც კიდევ ერთი სისტემური ბარიერის არსებობაზე მიუთითებს.

ლგბტ+ ადამიანებისთვის გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისთვის ხელის შეშლა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 2019 წლის 18-23 ივნისს „თბილისი პრაიდის“ კვირეულის დაგეგმვის პერიოდში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზატორებს, პროცესში ჩართული პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გამო, უსაფრთხოების გარანტიებზე უარი უთხრა და დაგეგმილი „ღირსების მარშის“ დახურულ სივრცეში გადატანა შესთავაზა. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული შეთავაზება შინაარსს აცლიდა ლგბტ+ ადამიანების მიზანს, საჯაროდ შეკრებილიყვნენ უსაფრთხოდ. ამასთან, ლგბტ+ ადამიანების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევას საქართველოში მრავალი წლის ისტორია აქვს და აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინება, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, მნიშვნელოვანი იყო.

ასევე საყურადღებო იყო 2019 წლის 14 ივნისს განვითარებული მოვლენები, როდესაც „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ აქციის გამართვა დაგეგმეს, რასაც წინ უძღოდა განცხადება, რომლითაც საპატრიარქოს წარმომადგენლები ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, არ დაეშვათ თბილისში „ღირსების მარშის“ ჩატარება. „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს არ მიეცათ აქციის დაგეგმილ ადგილას ჩატარების საშუალება, ვინაიდან ეს ტერიტორია ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა დაიკავეს. ორი პარალელური აქციის დროს ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან რამდენიმე ინციდენტს და შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი, მათ შორის, ლგბტ+ პირთა მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების მისამართითაც.

სახალხო დამცველის შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონკრეტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეს, რომელიც მიმართული იყო ლგბტ+ ადამიანების და მათი მხარდამჭერების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისაკენ, იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს, რომელშიც საკუთარი უფლებების დაცვისა და თანასწორობის იდეის მხარდამჭერი ადამიანების გამოხატვის თავისუფლებას განიხილავს. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები ბუნდოვანია - არ ადასტურებს ფაქტების პოტენციური შედეგების ანალიზსა და უფლებათა დაცვის სისტემური ხედვის არსებობას.

საანგარიშო პერიოდში საგანგაშო იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების მაჩვენებელი, რომელთა აგრესიის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლგბტ+ ადამიანები არიან. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ჯგუფების ლიდერების განცხადებებს სათანადო და სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებო იყო ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ვასაძის განცხადებები.[32]

[32] 2019 წლის 14 ივნისს, მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ კონტრაქციის გამართვისას ლევან ვასაძემ გააკეთა განცხადება, რომ ის და მისი მხარდამჭერები ლგბტ+ თემის წევრებს აქციის ჩატარების უფლებას არსად მისცემენ, მათ შორის, არც დახურულ სივრცეში. ვასაძის თქმით, თუ პოლიცია ლგბტ+ თემს აქციის ჩატარებას არ აუკრძალავდა და ამის საპირწონედ მათ გაუწევდა წინააღმდეგობას, სამართალდამცველები სიმეტრიულ პასუხს მიიღებდნენ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://netgazeti.ge/news/372339/

2019 წლის 16 ივნისს თბილისში გამართულ აქციაზე, ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ „თბილისი პრაიდისა“ და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ ქმნის „თვითორგანიზებულ ჯგუფებს“ — „სახალხო რაზმებს“, რომლებიც, მისი

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ანტიდემოკრატიული პოლიტიკური მოძრაობების გაძლიერების მიზეზებისა და ჰომოფობიის პოლიტიკური და სოციალური ეფექტის ანალიზს სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

ასევე ყურადსაღები იყო 2019 წლის 8 ნოემბერს კინოთეატრ „ამირანში" ლგბტ+ თემატიკაზე გადაღებული ფილმის ჩვენების დროს განვითარებული მოვლენები. ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა კინოჩვენების ჩასაშლელად აქცია გამართეს, რომლის დროსაც ფიზიკური დაზიანება მიიღეს ფილმის სანახავად მისულმა აქტივისტებმა. აღნიშნული პროცესების დროს, პოლიციამ ვერ უზრუნველყო კინოთეატრთან აგრესიულად განწყობილ დემონსტრანტთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია, და არც მათ აგრესიულ ქმედებებზე ჰქონია სათანადო რეაგირება. აგრესიულად განწყობილმა ჯგუფებმა შეძლეს კინოთეატრის შესასვლელის სიახლოვეს მისვლა, რის შედეგადაც უსაფრთხო სივრცე შეიზღუდა.

სახალხო დამცველის 2019 წლის 4 ნოემბრის მიმართვის[33] საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2019 წლის 19 დეკემბერს წარმოდგენილი ინფორმაციით იკვეთება, რომ *შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება: ლ. ვ.-ს მიერ შესაძლო უკანონო ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ფაქტზე,[34] გ. თ.-ს და სხვა პირთა მიმართ განხორციელებული შესაძლო მუქარის ფაქტზე,[35] 2019 წლის 14 ივნისს ქ. თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციაზე ჟურნალისტ ს. ბ.-ს პროფესიულ საქმიანობაში შესაძლო უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე[36] და ამავე დღეს საპროტესტო აქციაზე ჟურნალისტ გ. დ.-ს პროფესიულ საქმიანობაში შესაძლო უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე,[37] 2019 წლის 15 ივნისს ინტერნეტგვერდ palitravideo.ge-ზე გასულ ვიდეომასალაში სახალხო დამცველის მოადგილის, გიორგი ბურჯანაძის მიმართ განხორციელებული შესაძლო მუქარის ფაქტზე,[38] 2019 წლის 15 ივნისს, ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე კანცელარიასთან მოქალაქე ნ. ფ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო სიტყვიერი*

თქმით, ერთი კვირის განმავლობაში *„იპატრულირებენ"* თბილისში. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://netgazeti.ge/news/372545/

ლევან ვასაძემ არამხოლოდ ლგბტ+ პირებსა და მათ მხარდამჭერებს, არამედ პოლიციასაც მიმართა. მისი თქმით, კორდონის გარღვევის სტრატეგიაზე მუშაობენ და, თუ პოლიცია მათ წინააღმდეგობას გაუწევს, „კომბლებით იქნებიან შეიარაღებულნი". ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2o9s36p

[33] ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/geo/seksualuri-orientatsia-genderuli-identoba/sakhalkho-damtsvelma-khelisuflebas-lgbt-temis-tsarmomadgenlebis-gamokhatvis-tavisuflebis-datsvisken-moutsoda

[34] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[35] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[36] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[37] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[38] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე[39] *და სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ საქართველოს სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას მიმართ განხორციელებული შესაძლო მუქარის ფაქტზე.*[40] შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. ამჟამად, სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება.

ამასთან, *2019 წლის 20 ივნისს, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის დროს, თბილისში, მეტროსადგურ „რუსთაველის“ ტერიტორიაზე, სავარაუდოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ს. ს.-ს და ო. ო.-ს მიმართ განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედება, რასაც მოჰყვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება და დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე.* [41] ასევე, *2019 წლის 20 ივნისს, ბრალდებულის სახით*[42] *დააკავეს მოქალაქე ნ. ჩ. და გამოძიების ფარგლებში გამოიკვეთა დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივი. სასამართლოს განჩინებით, ნ. ჩ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნეს და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით.*[43]

5.2.ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების პრობლემები ღონისძიებებისთვის სივრცის მოპოვებისას

სიმპტომურია, რომ ლგბტ+ თემისთვის გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების რეალიზებაში ხელის შეშლისა და სახელმწიფოს მხრიდან ინერტულობის პარალელურად, სახალხო დამცველისადმი თემის წევრების მიერ წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, რამდენიმე დაწესებულებამ მათ უარი უთხრა სივრცის დათმობაზე ლგბტ+ საკითხებზე საჯარო ან/და დახურული ღონისძიებების გასამართად. განმცხადებლების განმარტებით, დაწესებულებების მესაკუთრეები დისკრიმინაციული მოტივით, სხვადასხვა ფორმალურ არგუმენტებზე დაყრდნობით, უარს ეუბნებიან ღონისძიებების ჩატარებაზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, აღნიშნული პრობლემის სისტემატურ ხასიათზე მიუთითებდეს.

კერძოდ, მოპასუხე ორგანიზაციები უარის საფუძვლად ყველა შემთხვევაში გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობაზე უთითებდნენ, რაც შესაძლოა, სიმართლეს შეესაბამებოდეს კიდეც, თუმცა, აღსანიშნავია, რომ შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების შედეგად, მოპასუხეების მხრიდან განმცხადებლების დახმარების მზაობა არ გამოკვეთილა. ღონისძიების გასამართად ალტერნატიული დრო ან ფართი/ოთახი

---

[39] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[40] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[41] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით.

[42] 2019 წლის 20 ივნისს მას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[43] შენიშვნა: ბრალდებულს სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-64 მუხლების საფუძველზე, პირობითად ჩაეთვალა და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა ერთი წელი.

განმცხადებლებისთვის არცერთ მოპასუხე ორგანიზაციას არ შეუთავაზებია. შესაბამისად, ლგბტ+ თემის უფლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მოპასუხეების მიერ დასახელებული ფორმალური არგუმენტები ნაკლებად სარწმუნოა.

6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ხანდაზმულთა პრობლემები სოციალური უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. მაგალითად, დისკრიმინაციული იყო ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის სამოგზაურო დაზღვევასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ბუნდოვნად აყალიბებდა ხანდაზმულთა დაზღვევის შესაძლებლობას, პრაქტიკაში, ცალსახად გამორიცხავდა 70 წელს ზემოთ ადამიანების სამოგზაურო დაზღვევით უზრუნველყოფას.[44]

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის კუთხით საინტერესო შემთხვევაა პირის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, *მოსამსახურეს, რომელსაც უმცროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში 60 წლის ჩათვლით იმსახუროს.*

ამ მიმართულებით, საგულისხმოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც 50 წლის შესრულების შემდგომ პირის სასამართლოს მანდატურის თანამდებობიდან გათავისუფლება დისკრიმინაციულად მიიჩნია. სასამართლოს შეფასებით, 50 წელი, თავისთავად, არ უნდა ჩათვლილიყო იმ ასაკად, რომლის მიღწევის შემდგომაც ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა გარდაუვლად უარესდება.[45] სხვა საქმეში, სასამართლომ დისკრიმინაციულად ცნო მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 70 წელს ზემოთ პირის არჩევის აკრძალვა. *სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ასაკოვანი პირების დაცვა დისკრიმინაციისა და სტიგმატიზებისგან. ის ფაქტი, რომ ზოგადად ასაკის მატების თანმდევი შედეგია ადამიანის ფიზიკური ამტანობის შესუსტება და გარკვეული უნარების დაქვეითება, თავისთავად ვერ გახდება ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების თვითკმარი საფუძველი.*[46]

7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომით ურთიერთობაში სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა. მსგავსი ფაქტები შეეხებოდა როგორც სხვადასხვა შრომითი უფლების შეზღუდვის, ისე სამუშაო ადგილზე შევიწროების და ვიქტიმიზაციის შემთხვევებს. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაცია, ყველაზე ხშირად, განსხვავებული მოსაზრების გამო ხდება.

---

[44] სახალხო დამცველის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: shorturl.at/agE01

[45] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის 3/2/767/1272 გადაწყვეტილება.

[46] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით, *შევიწროება* განისაზღვრა დისკრიმინაციის ფორმად, რაც გულისხმობს *ნებისმიერი ნიშნით პირის დევნას, იძულებას, ანდა პირის მიმართ არასასურველ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.* როგორც განმცხადებლები მიუთითებდნენ, შევიწროება, ძირითადად, გამოიხატებოდა არაეთიკური და შეურაცხმყოფელი კომუნიკაციის ფორმების გამოყენებაში,[47] ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელსა და დასაქმებულს შორის კომუნიკაციის არქონაში, ასევე, სამუშაო ოთახის განცალკევებით, არაკომფორტულ ადგილას გამოყოფაში. სხვა საქმეებში[48] განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელს სთხოვდნენ წახალისების გამჭვირვალე კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, რათა გამორიცხულიყო თანამშრომლების მიმართ სუბიექტური დამოკიდებულებებით წახალისების მექანიზმის გამოყენება, რის შემდეგაც ერთი განმცხადებელი რეორგანიზაციის, ხოლო მეორე - ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა *ვიქტიმიზაცია*[49] შრომით ურთიერთობაში, როდესაც დამსაქმებელმა პირის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მის მიერ სახალხო დამცველისთვის მიმართვა დაასახელა.[50] სახალხო დამცველისათვის მომართვის გამო პირის გათავისუფლება საშიშ პრეცედენტს ქმნის, რომელმაც შესაძლოა სამომავლოდ მსუსხავი ეფექტი იქონიოს სხვა პირებზე და უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენებისთვის დამაშინებელ გარემოებად იქცეს.

რაც შეეხება დისკრიმინაციული მოტივით შრომითი უფლებების დარღვევის სხვა შემთხვევებს, ფორმალური სამართლებრივი საფუძვლით დისკრიმინაციული მოპყრობის დაფარვის მცდელობა გამოვლინდა მედია სფეროში.[51] ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებლის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული განსხვავებული მოსაზრება ტელეკომპანიამ კორპორატიული ინტერესის დარღვევად შეაფასა და შრომითი ურთიერთობის დასრულების საფუძვლად მიიჩნია. სახალხო დამცველმა გაითვალისწინა მედია სფეროში არსებული კონტექსტი და ტელეკომპანიის მგრძნობელობა მათ მიმართ გამოხატულ კრიტიკასთან დაკავშირებით, რაც მჭიდროდ უკავშირდება ტელეკომპანიის მიმართ მაყურებელთა ნდობის შენარჩუნებას. თუმცა, მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული ფეისბუკ პოსტი,

---

[47] სახალხო დამცველის 2019 წლის 4 ოქტომბრის რეკომენდაცია „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/bxLRV

[48] სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე ხელმისაწვდომია shorturl.at/cmCL9; სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე ხელმისაწვდომია: shorturl.at/AFNR4

[49] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, „აკრძალულია ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან“.

[50] სახალხო დამცველის 2018 წლის 5 მარტის რეკომენდაცია თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის მიმართ, ხელმისაწვდომია: shorturl.at/gqxy5

[51] სახალხო დამცველის 2019 წლის 8 ოქტომბრის რეკომენდაცია ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ, ხელმისაწვდომია shorturl.at/qvRW1

კონტექსტის გათვალისწინების პირობებშიც კი, დასაშვები კრიტიკის ფარგლებს არ გასცდენია და არ შეიცავდა გამოხატვის ისეთ ფორმას, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენებას გაამართლებდა. ამასთან, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ტელეკომპანიას ყოველმხრივ არ შეუსწავლია, განმცხადებლის მოსაზრების გამო, რა სახის და სიმძიმის რეპუტაციული თუ ფინანსური ზიანი მიადგა ტელეკომპანიას და არ შეუფასებია გამოქვეყნებული განცხადების გავრცელების მასშტაბი, შესაბამისად, მხოლოდ მოსალოდნელი შედეგის ზედაპირული შეფასება, განმცხადებლის უფლებებში ინტენსიურ ჩარევას ვერ გაამართლებდა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტები ასევე დავობდნენ „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ განსხვავებული მოსაზრების გამო მათი გათავისუფლების შესახებ.

ამ ეტაპზე სახალხო დამცველის წარმოებაშია განცხადებები, რომლებიც აკადემიური საქმიანობის განხორციელებისას განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. კერძოდ, განმცხადებლები მიუთითებენ, რომ 2019 წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში პროფესორად მოწვევაზე უარი არსებული მდგომარეობის საჯარო და ღია კრიტიკის გამო ეთქვათ.

8. დისკრიმინაცია სოციალური უსაფრთხოების სფეროში

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით თანასწორობის პრინციპის დაცვით სარგებლობა ამ საანგარიშო პერიოდშიც გამოწვევა იყო. ერთი მხრივ, პრობლემურია, რომ ცენტრალურ დონეზე არსებული პროგრამების უმრავლესობა სარგებლობიდან გამორიცხავს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს; მეორე მხრივ, დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს ვხვდებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში სამიზნე ჯგუფების განსაზღვრისას.

8.1.მუდმივი ბინადრობის მქონე პირების მიერ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის პრობლემა

სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიერ, კვლავ გამოწვევად რჩება. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია ამ მიმართულებით, საქართველოს პარლამენტს დადგენილებაში არ აუსახავს.

სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის თუ სოციალური პროგრამები, რომლებიც შეღავათებს აწესებენ პროგრამით მოსარგებლეთათვის, ძირითად შემთხვევაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის და გაუმართლებლად გამორიცხავს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს, რომლებსაც, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის მიზნებისათვის, ისეთივე წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

8.2.მუნიციპალიტეტების ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები

სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველია რიგი მუნიციპალიტეტების მიერ შემოთავაზებული ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებიც. იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია სოციალური დახმარების გაცემის წესის განსაზღვრისას, იგი ვალდებულია სოციალური საკითხების რეგულირებისას დაიცვას დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპი.[52] ეს გულისხმობს, რომ ნებისმიერი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა, მოსარგებლეთა წრის განსაზღვრისას, რომელიმე დაცული ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებს.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამის შესახებ სამართლებრივი აქტები სამართლებრივი სტატუსის ნიშნით დისკრიმინაციულ ჩანაწერებს შეიცავს. მაგალითად, შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ 4 და მეტ მცირეწლოვან ბავშვიან ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის შემთხვევაში - ერთ-ერთ აუცილებელ დოკუმენტად მოთხოვნილია ქორწინების მოწმობა.[53] მსგავსი ფორმალური კრიტერიუმია განსაზღვრული ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური პროგრამითაც - ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამით სარგებლობისთვის მოითხოვება მშობლების ქორწინების მოწმობა.[54] პარტნიორები, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა შექმნილი აქვთ ოჯახები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, წარადგინონ ქორწინების მოწმობის ასლები, რაც უარყოფითად აისახება მათზე და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებთან.

კვლავ პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებული პროგრამები. მაგალითად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას. ყოველთვიური ფინანსური დახმარება გამიზნულია ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, *რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და დაავადებული არიან ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ლეიკემიით, ასევე, ყრუ-მუნჯებისთვის.*[55] პრობლემურია სოციალური დახმარების გაცემა არა თავად საჭიროების, არამედ, ამ საჭიროების წარმოშობის დროის მიხედვით. აღნიშნული სოციალური პროგრამით სარგებლობას, გარდა ჩამოთვლილი ჯგუფებისა, მოკლებულნი არიან სხვა დიაგნოზის მქონე ადამიანები, რომლებიც, ამ

---

[52] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[53] შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბერის განკარგულების №45 შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2019 წლის მიზნობრივი პროგრამის დანართი.

[54] ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის 12 დეკემბრის განკარგულება №79, ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

[55] ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მიღების მიზნებისთვის, შესაძლოა ზემოაღნიშნულ პირებთან არსებითად თანასწორ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ასევე, სარგებლობიდან გამორიცხულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ის პირები, რომლებმაც, სტატუსი მოგვიანებით მიიღეს, რაც მათ დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პროგრამების შემუშავებისას, თავიდან იქნეს აცილებული დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინები. მაგალითად, ხსენებული სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, დაუნის სინდრომი წარმოჩენილია როგორც დაავადება, რაც ამ მდგომარეობის არასწორი ინტერპრეტაციაა და აღნიშნულ პირთა მიმართ სტიგმის გაძლიერებს უწყობს ხელს. ამასთან, გამოყენებულია ასევე სტიგმის შემცველი ტერმინი - ყრუ-მუნჯი.

ამასთან, მარნეულის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია გონებრივი განვითარების შეფერხების ან გონებრივი განვითარების დაყოვნების მქონე 0-13 წლამდე ბავშვთა რეაბილიტაციის, გამოკვლევის, მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების წესი.[56] მსგავსი სერვისის ხელმისაწვდომობაზე ასაკობრივი ზღვრის დადგენა - რეაბილიტაციისა და მკურნალობის დაფინანსების შეწყვეტა 13 წლის ასაკს მიღწეული ბავშვებისთვის, შესაძლოა, აფერხებდეს მკურნალობის უწყვეტობას და საფრთხეს უქმნიდეს პროგრამით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას.

ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების დონეზე არსებული ჯანდაცვის პროგრამები სარგებლობიდან ექსპლიციტურად გამორიცხავს კონკრეტულ ჯგუფებს. მაგალითად, აბაშის მუნიციპალიტეტის სამედიცინო მომსახურების პროგრამის თანახმად, არ ფინანსდება ალკოჰოლიზმით, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებით გამოწვეული და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა.[57] სოციალური პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს არა დაავადების წარმოშობის წყაროზე, არამედ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და არსებულ საჭიროებებზე. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებით გამოწვეული ან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობის დაფინანსება შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს ადამიანებისთვის, რომლებიც, ამავე დროს, არსებითად თანასწორ მდგომარეობაში არიან აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე სხვა ბენეფიციარებთან. ამასთან, ხსენებული წესი ახალისებს დისკრიმინაციას და ხელს უწყობს ნარკომომხმარებელთა მიმართ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სტერეოტიპული მიდგომების გამყარებას.

ამასთან, მუნიციპალიტეტების დონეზე არსებული სოციალური პროგრამების ანალიზის საფუძველზე, აღსანიშნავია მოცემული პროგრამების დეტალიზებული ხასიათი, რომელმაც შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, სხვა, მსგავსი საჭიროების მქონე ადამიანები სოციალური, თუ ჯანდაცვის პროგრამების მიღმა დატოვოს. მაგალითად, შუახევის მუნიციპალიტეტის პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარისა

[56] მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის დადგენილება №9.
[57] აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №60, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა.

და, საჭიროების შემთხვევაში, თანმხლები პირის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად მგზავრობისათვის ფინანსურ დახმარებას.[58] ბუნებრივია, მნიშვნელოვანია მგზავრობის დაფინანსების საკითხი, თუმცა, გარდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა, შესაძლოა მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის სხვა პრობლემის მქონე პირები, ყოველდღიური სამედიცინო პროცედურების ჩატარებისას, ასევე საჭიროებდნენ მგზავრობის ხარჯების დაფარვას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სოციალური პროგრამების მოქნილობა იმისათვის, რათა არსებითად თანასწორი არცერთი ჯგუფის ინტერესი არ შეილახოს.

სოციალური სარგებლის მიღების პროცესში ვლინდება მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციაც, როდესაც გარკვეული უფლებით მოსარგებლედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები განისაზღვრებიან, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები კი, რომლებიც დაწესებულ გადასახადებს საქართველოს მოქალაქეების მსგავსად იხდიან და სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის მიზნებისთვის, მათთან თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, მსგავს სარგებელს ვერ იღებენ. მაგალითად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების ოდენობასა და გაცემის წესს.[59] სოციალური დახმარების ქვეპროგრამებით გათვალიწინებულია ბენეფიციარების მიერ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლის წარდგენის ვალდებულება, რაც გამორიცხავს მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირთათვის პროგრამით შეთავაზებული შეღავათების მიღებას.

ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ პირზე/ოჯახზე, სადაც არ ცხოვრობს შრომისუნარიანი მამაკაცი და ოჯახს არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა ზამთრის სეზონისათვის საშეშე მერქნის შესაძენად, გაიცემა საშეშე მერქანი.[60] მოცემულ შემთხვევაში, გამორიცხულია ბინადრობის მოწმობის მქონე პირთათვის აღნიშნული დახმარებით სარგებლობა. ამასთან, ოჯახში შრომისუნარიანი მამაკაცის არსებობასთან სარგებლის მიღების დაკავშირება, თავის მხრივ, სქესის ნიშნით დისკრიმინაციულია, ვინაიდან, შესაძლოა, ოჯახში ცხოვრებდეს შრომისუნარიანი მამაკაცი, თუმცა მისი საჭიროებები ისეთივე იყოს, როგორც სხვა ოჯახებში, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად პრინციპს, სახელმწიფო

---

[58] „შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დიალიზის პროგრამაში ჩართული მოქალაქეების მგზავრობის დაფინანსების 2019 წლის მიზნობრივი პროგრამა “ №49, 28/12/2018წ.

[59] ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

[60] ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №60.

მმართველობითი საქმიანობის თავისუფლება კი შეზღუდულია თანასწორობის უფლების დაცვის მოთხოვნით.[61] სოციალური უსაფრთხოების უფლების გარანტირება, მათ შორის, გულისხმობს თანასწორობის პრინციპის დაცვას, რათა არსებითად თანასწორი არცერთი ჯგუფის/პირის ინტერესი არ შეილახოს.

9. დისკრიმინაციის წახალისება

დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების მხრივ, სამწუხაროდ, არც ეს საანგარიშო პერიოდი იყო გამონაკლისი. სხვადასხვა ჯგუფების თანასწორუფლებიანობაზე უარყოფითი ეფექტის მქონე რეპლიკები, ძირითადად, პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით გამოიყენებოდა. ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული მოსაზრებების სოციალური ქსელით გავრცელების შემთხვევებსაც. დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემო ცალსახად შესამჩნევია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, ლგბტ+ თემის[62] და ქალების მიმართ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური დამოკიდებულება, რაც ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკოს ქალთა წინააღმდეგ, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენება. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ *„იყო სირთულეები, ვინაიდან პირველად ხდება, რომ საქართველოს ქალი პრეზიდენტი ჰყავს“.*[63] სხვა შემთხვევაში, პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ სექსისტური კომენტარი გააკეთა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, მაია ცქიტიშვილის მიმართ და თქვა, რომ *„[ის] შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ მე არ ვიცი, რა გამოცდილება ჰქონდა მას წინა ცხოვრებაში, როცა ამ მილიარდებს აბარებენ“.*[64] კიდევ ერთი შემთხვევა შეეხებოდა ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, თამაზ ფაცაციას მიერ პარლამენტარ თინა ბოკუჩავას შესახებ დაწერილ სექსისტურ განცხადებას *„თინა ბოკუჩავამ, ისეთი განათლებული ვარო, მიშამ პირდაპირ პარლამენტში „დამამთავრებინა“, ბოდიში*

---

[61] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება "საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ" II.21.

[62] პარლამენტარ ალექსანდრე ერქვანიას ჰომოფობიური გამონათქვამი - *„უნდა აიკრძალოს მამათმავლობისა და მსგავსი გარყვნილებების პროპაგანდა“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33k8WVC; ქუთაისის საკრებულოს წევრის, ალექსანდრე ახალაძის ჰომოფობიური გამონათქვამი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33lfuTS; ყვარლის საკრებულოს წევრის, ნინო ხუციშვილის ჰომოფობიური, დისკრიმინაციული გამონათქვამები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XQiW7L; სამტრედიის საკრებულოს სოფელ მელაურის რწმუნებულის, სოფიკო კიკაჩეიშვილის ჰომოფობიური კომენტარი *„[...] ცისფერები, ლეზბიანკები, პიდარასტები ყავენ იქ და ნაციონალები [...]“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2QUVtRp;

[63] არჩილ თალაკვაძის სექსისტური კომენტარი სირთულეებზე საუბრისას - *„იყო სირთულეები, ვინაიდან პირველად ხდება, რომ საქართველოს ქალი პრეზიდენტი ჰყავს“ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36FiXiP*

[64] მამუკა ხაზარაძის სექსისტური კომენტარი მაია ცქიტიშვილის მიმართ - *„[...] შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ მე არ ვიცი, რა გამოცდილება ჰქონდა მას წინა ცხოვრებაში, როცა ამ მილიარდებს აბარებენ [...]“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2qB2HQ5. სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: shorturl.at/fkmwY

გამათავებინაო უნივერსიტეტიო“.[65] ამდენად, ძალიან ხშირად, ქალების წინააღმდეგ ოპონირება არ მიმდინარეობდა პროფესიული კრიტიკის ჩარჩოში და მიზნად ისახავდა მათ დამცირებასა და შეურაცხყოფას პიროვნული მახასიათებლის თუ დადგენილი საზიანო სტერეოტიპების საფუძველზე. ძირითად შემთხვევებში, სექსისტური გამონათქვამები სექსუალური კონოტაციის მქონე, ანდა ქალისა და მამაკაცისათვის განსაზღვრული გენდერული როლების გამაძლიერებელია.[66] აღსანიშნავია, რომ პროფესიასთან დაკავშირებული გენდერული მიკუთვნებულობის შესახებ აღქმები თავს იჩენს სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა მიმართ დამოკიდებულებაშიც და ზოგიერთ შემთხვევაში, არაჯანსაღ, მტრულ სამუშაო გარემოს ქმნის.[67]

სახალხო დამცველის ყურადღება მიიქცია პარლამენტის ცალკეულ წევრთა ქსენოფობიურმა გამონათქვამებმაც.[68] მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამუშაო შეხვედრაზე, პარლამენტარმა ემზარ კვიციანმა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს გაბრაზებით მიმართა, რომ თუ საქართველოს მოქალაქე იყო, ქართულად ესაუბრა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია გამოწვევად რჩება, მაღალი თანამდებობის პირების მიერ საპარლამენტო სივრცის გამოყენება დისკრიმინაციის წამახალისებელი მოსაზრებების გასავრცელებლად, განსაკუთრებით დამაზიანებელია. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები უარყოფითად აისახება ქვეყანაში შემწყნარებლური და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებაზე. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტის წევრთა დისკრიმინაციული გამოსვლის, მოქმედების თუ სიძულვილის ენის

---

[65] ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თამაზ ფაცაციას სექსისტური კომენტარი თინა ბოკუჩავას მიმართ: „თინაბოკუჩავა ისეთი განათლებული ვარო, მიშამ პირდაპირ პარლამენტში "დამამთავრებინა" ბოდიში გამათავებინაო უნივერსიტეტიო“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2R3O68Y

[66] რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის, ლევან ონიანის სექსისტური გამონათქვამი - *„ინგა ჩივის უკონტაქტო გაუპატიურებისთვის“*, ინგა გრიგოლიას მიმართ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34lxJK9; პარლამენტის წევრის ნუკრი ქანთარიას შეურაცხმყოფელი მიმართვა თინა ბოკუჩავას - *„ნუ ჭყივიხარ, პატარა გოგო ხარ იოგებს გაუფრთხილდი“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35DKbVM; ხაშურის საკრებულოს წევრის, ალექსანდრე სიმონიშვილის შურაცხმყოფელი მიმართვა ინგა გრიგოლიას მიმართ - *„ინგა გრიგოლია არის ძ*კნა და ქვეყნის მტერი [...],* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34ozrKO; პარლამენტის ყოფილი წევრის, ვანო ზარდიაშვილის კომენტარი ეკა ბესელიას მიმართ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35zT42F; პარლამენტის წევრის, სოფიო კილაძის კომენტარი ეკა ბესელიასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OOO838; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილის, ზაზა ფარცვანიას კომენტარი ძალადობის სავარაუდო მსხვერპლ ქალთან დაკავშირებით - *„თუ არ გაუყრია შენთვის, პატიმრობას არ ითვალისწინებს“,* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XOuPv3; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი შავიძე პაატა სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33myyBp.

[67] სახალხო დამცველის 2019 წლის 16 აგვისტოს სასამართლო მეგობრის მოსაზრება სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

[68] პარლამენტარ ალექსანდრე ერქვანიას ქსენოფობიური დამოკიდებულება საქართველოს მეზობელი ქვეყნების მიმართ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33k8WVC; პარლამენტარ ემზარ კვიციანის რეპლიკა მირტაგ ასადოვს, რომ თუ საქართველოს მოქალაქე იყო, ქართულად ესაუბრა, სახალხო დამცველის 2019 წლის 16 აგვისტოს რეკომენდაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2R4Omo0;

მიმართ, ადეკვატური ზომები იქნება გამოყენებული „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად.

სამწუხაროდ, საჯაროდ გამოხატული სექსისტური, ქსენოფობიური, ჰომო/ტრანსფობიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციული გამონათქვამები ასაზრდოებს საზოგადოებაში არსებულ არასწორ, დამამცირებელ სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციულ განწყობებს. ამასთანავე, ბოლო პერიოდში შეინიშნება ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფებისა და მათი მხარდამჭერების გაძლიერების ტენდენცია, რომელთა სამიზნეც დაუცველი ჯგუფები, განსაკუთრებით კი ლგბტ+ თემის წევრები და აქტივისტები არიან. ლგბტ+ თემის მიმართ დისკრიმინაციას კიდევ უფრო ახალისებს პოლიტიკოსების მხრიდან საჯაროდ გაცხადებული აგრესია, როგორიცაა, მაგალითად, პარლამენტარ ალექსანდრე ერქვანიას განცხადება, რომ *„უნდა აიკრძალოს მამათმავლობისა და მსგავსი გარყვნილებების პროპაგანდა“*.[69] მსგავსი შემთხვევები, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენს ლგბტ+ თემის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ფაქტია, ბევრ პოლიტიკოსს თუ სხვა საჯარო პირს არ აქვს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რაც მათ თანასწორუფლებიანობის დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში ეკისრებათ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს წარმომადგენლების თუ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფებისთვის ავტორიტეტულმა სხვა პირებმა, თავიანთ პასუხისმგებლობასთან ერთად, აღიარონ და კრიტიკულად გაიაზრონ ცალკეული ჯგუფებისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის ის უარყოფითი შედეგი, რაც დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების გავრცელებას მოჰყვება.

10. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები და პოლიციელების დისკრიმინაციული დამოკიდებულება

სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კონტექსტში 2019 წელსაც სიმბოლურ მოვლენად დარჩა ვიტალი საფაროვის მკვლელობის შემთხვევა, რომელიც, ბრალდების მხარის მცდელობის მიუხედავად, სასამართლომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ დანაშაულად არ მიიჩნია. ცხადია, სახალხო დამცველს არ შეუფასებია სასამართლოს მიერ ფაქტების და სამართლის გამოყენების სისწორე, თუმცა, სააპელაციო ინსტანციაში, სასამართლოს მეგობრის მოსაზრების[70] სახით, წარადგინა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტები და ინდიკატორები, რომლებიც დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიზნით გამოიყენება.

რაც შეეხება დისკრიმინაციული დანაშაულების გამოძიებას და პრევენციას, აღნიშნული კვლავ სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, კონკრეტული დაუცველი ჯგუფების საზოგადოებაში არსებული მიმღებლობის დაბალი მაჩვენებელი და უარყოფითი სტერეოტიპები, ხოლო, მეორე მხრივ,

[69] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33k8WVC;
[70] ხელმისაწვდომია: shorturl.at/hjqwG

სამართალდამცავი ორგანოების არასაკმარისი მზაობა, ამგვარი შემთხვევები შესაძლო თანასწორუფლებიანობის შელახვის კონტექსტში შეაფასონ, გამოძიების პროცესში სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დანაშაულის გამოძიებისას სავარაუდო სიძულვილის გამოკვეთას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულების, არამედ მომავალში მსგავსი დანაშაულის თავიდან ასაცილებლადაც. ამგვარი დანაშაულების მსხვერპლები, ამ საანგარიშო პერიოდში, უმეტესწილად, იეჰოვას მოწმეები და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები არიან.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები, ერთი მხრივ, მოიცავს სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, რომელზეც გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა ან შეწყდა, ასევე საქმეებს, რომელზეც გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ დაწყებულა. მეორე მხრივ კი, სახალხო დამცველი შეისწავლის სამართალდამცავთა მხრიდან სავარუდო დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებულ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.

აღნიშნულ პერიოდში სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა სხვადასხვა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ 71 საქმეზე. მათ შორის, ყველაზე მაღალი მომართვიანობა იყო ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ საქმეებზე (25 საქმე, მათ შორის 5 შემთხვევა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს ეხებოდა). აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, უმეტეს შემთხვევაში, საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან/და ბრალდებულად ცნობილი არ ყოფილა. ერთ შემთხვევაში კი, დაზარალებულებთან კონსულტაციის შედეგად და ბრალდებულების თხოვნის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარეობდა განრიდებასთან დაკავშირებული პროცედურები.

ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოიკვეთა, ან დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა, ბუნდოვანი რჩება, კონკრეტულად რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ასეთი მოტივის გამოსავლენად.

სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეების მხრიდან (19), რომელთა შორისაც იყო საქმეები, რომლებიც ეხებოდა ჯერ კიდევ 2018 წლის პირველ თვეებში მომხდარ ფაქტებს, რომლებზეც ბრალდებული არ არის გამოკვეთილი, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, განმცხადებლების პრეტენზიები ასევე უკავშირდებოდა გამოძიების გაჭიანურებას.

იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების დიდი ნაწილი, რომლის გამოძიების პროცესში, საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციით,

დისკრიმინაციული საფუძველი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა, შეწყდა ან დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო არ დაწყებულა, შეეხება როგორც ძალადობრივ, ისე სხვა სახის ქმედებებს. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული მსგავსი ფაქტების თანახმად, როგორც წესი, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, ქადაგების დროს - ქუჩაში სტენდთან მდგომი ანდა კარდაკარ მოსიარულე იეჰოვას მოწმეები. იეჰოვას მოწმეები ასევე უთითებენ სტენდებისთვის ცეცხლის წაკიდების და რელიგიური ლიტერატურის განადგურების ფაქტებზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე განცხადებაში მითითებული იყო იეჰოვას მოწმეების სამუშაო სივრცისა და ავტომობილის დაზიანების სხვადასხვა შემთხვევებზე. მათ შორის, ერთ-ერთ განცხადებაში საუბარი იყო ერთსა და იმავე დღეს - 2019 წლის 29 აპრილს, იეჰოვას მოწმეთა კუთვნილი უძრავი ქონების დაზიანების ფაქტზე ხონისა და ხაშურის მუნიციპალიტეტში. ერთ შემთხვევაში, ააიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“ ცნობილ იქნა დაზარალებულად, თუმცა, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, ხოლო მეორე შემთხვევაში, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის. ამასთან, განმცხადებლების მხრიდან კიდევ რამდენჯერმე იყო აღნიშნული 2019 წლის 11-26 მაისს იეჰოვას მოწმეთა ადმინისტრაციული შენობისა და კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების ხუთი სხვადასხვა ფაქტი, რომლებზეც კონკრეტული პირის დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობა ასევე არ მომხდარა. საქართველოს პროკურატურის ცნობით, ხუთივე ზემოხსენებულ საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით.

სახალხო დამცველს მუსლიმი თემის წინააღდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებითაც მომართეს. მართალია, უშუალოდ ფაქტი არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში, თუმცა, დღემდე არ არის ცნობილი გამოძიების შედეგები. საქმე ეხებოდა 2014 წლის 15 სექტემბრის და შემდგომ პერიოდში ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩის №13-ში მდებარე პანსიონთან/პანსიონის პერსონალის მიმართ ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომლების ქმედებების/უმოქმედობის თაობაზე სისხლის სამართლის წარმოების დაწყებას და გამოძიების სწრაფად და ეფექტიანად წარმართვას.

სახალხო დამცველმა არაერთხელ გამოითხოვა ინფორმაცია საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, თუმცა არ მიეცა მასალების გაცნობის საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე, საქართველოს პროკურატურა განმარტავდა, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო კანონდარღვევასთან დაკავშირებით, საკითხი შესწავლილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. შესწავლის შედეგად დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთა, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა. აღსანიშნავია, რომ ბუნდოვანია საქართველოს პროკურატურის პოზიცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ვინაიდან 2019 წლის 14 თებერვლის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქმის სრული მასალის ანალიზის შედეგად, არ გამოვლინდა პოლიციის თანამშრომლების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა, ხოლო იმავე საქმეზე სახალხო დამცველის მიერ სრული

მასალების მოთხოვნის შემდეგ კი განემარტა, რომ გამოძიება გრძელდება და მოწმეთა ჩვენებების და საქმის მასალების გაცნობა ვერ მოხერხდებოდა.

სახალხო დამცველი გაუმჯობესებულ ტენდენციად მიიჩნევს, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესწავლისას, განსაკუთრებით, იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული დანაშაულების შემთხვევაში, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც თავის თავში მოიცავს სიძულვილის მოტივს, თუმცა, აღნიშნულს სამართლებრივ ეფექტიანობას უკარგავს დროში გაჭიანურებული შესწავლის პროცესი. საქმეთა არადროული შესწავლის არსებული პრაქტიკა სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლს უჩენს უსამართლობისა და დაუცველობის გრძნობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სამართალდამცავი ორგანოსადმი ნდობას. უმეტეს შემთხვევაში, მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება, რომ საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით და გრძელდება გამოძიება, თუმცა, კონკრეტული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების და ბრალდებულად ცნობის მაჩვენებელი მკვეთრად დაბალია.

ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც გამოძიების შეწყვეტის შემდეგ ფაქტი კვალიფიცირდება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა პირის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევაშიც, შესაბამისი გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა, ვინაიდან დღეს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ გამოყოფს დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ეს მნიშვნელოვნად ართულებს სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ ქმედებებზე გამართული სტატისტიკის წარმოებას და ზრდის შესაძლებლობას, ყურადღების მიღმა დარჩეს სიძულვილის მოტივით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ფაქტები.

დადებითად უნდა აღინიშნოს პროკურატურის მიდგომის სისტემური ცვლილება ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევებზე. წინა პერიოდში, როდესაც ზიანი საერთო ჯამში 150 ლარს არ აღემატებოდა, ფაქტები კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება), რის შედეგადაც გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო წყდებოდა. ბოლო პერიოდში შეინიშნება, რომ უმეტეს შემთხვევაში, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომელთა გამოყენების შედეგად, ფაქტის კვალიფიკაციის მიზნებისთვის, დაბრკოლებას არ წარმოადგენს სავარაუდო დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის მცირე ოდენობა.

საქართველოს პროკურატურიდან მოწოდებული 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაციის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) დაიწყო 1 პირის მიმართ, 142[1] მუხლით (რასობრივი დისკრიმინაცია) - 2 პირის მიმართ, 142[2] მუხლით (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა) – 0 პირის მიმართ, 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა) - 3 პირის მიმართ, 156-ე მუხლით (დევნა) - 3 პირის მიმართ, 239[1] მუხლით

(ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება) - 0 პირის მიმართ. ამათგან, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ; აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა) - 3 პირის მიმართ, 156-ე მუხლით (დევნა) - 3 პირის მიმართ.

ამასთან, პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ; აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: 155-ე მუხლით - 3 პირის მიმართ, 156-ე მუხლით - 3 პირის მიმართ;

რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ; აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142[1] მუხლით;

რაც შეეხება, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივ დევნას, დაიწყო 1 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით (სხვა მუხლებთან ერთობლიობაში).

ამასთან, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (როგორც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის ნაწილით/ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ; აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: 19.109-ე (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლით - 1 პირის მიმართ, 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) - 1 პირის მიმართ. [71]

ამასთან, სახალხო დამცველს საქართველოს პროკურატურიდან ეცნობა, რომ არცერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ შეწყვეტილა.

III. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა

2014 წლიდან, საქართველოს სახალხო დამცველს მინიჭებული აქვს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მანდატი, რომლის ფარგლებშიც შეისწავლის თანასწორუფლებიანობის დარღვევის და დისკრიმინაციის წახალისების სავარაუდო შემთხვევებს და საგანმანათლებლო ღონისძიებების მეშვეობით, ინფორმაციას ავრცელებს თანასწორობის პრინციპის შესახებ.

[71] აღნიშნული მოტივთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილია 2019 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრის ოქტომბრამდე არსებული სტატისტიკური მონაცემები.

დისკრიმინაციის ან დისკრიმინაციის წახალისების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით ან ზოგადი წინადადებით მიმართავს შესაბამის საჯარო უწყებას, ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

1. საქმისწარმოება

წინა საანგარიშო პერიოდში[72] სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის 159 სავარაუდო ფაქტი შეისწავლა, 2019 წლის განმავლობაში კი წარმოებაში 155 ახალი შემთხვევა იყო, რომელთაგან 13 შემთხვევაში სახალხო დამცველმა წარმოება საკუთარი ინიციატივით დაიწყო. 2018 წელს თანასწორობის დეპარტამენტმა შეიმუშავა დასაშვებობის კრიტერიუმები, რომელიც განმცხადებლისთვის მინიმალურ სტანდარტს ადგენს. კერძოდ, იმისათვის, რათა განცხადება თანასწორობის დეპარტამენტმა განიხილოს, მითითებული უნდა იყოს დისკრიმინაციის სავარაუდო ჩამდენი, შესადარებელი სუბიექტი და დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი.



განმცხადებლების ყველაზე დიდი რაოდენობა კვლავ სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ დავობს და ეს მონაცემი, წინა პერიოდის მსგავსად, 16%-ს შეადგენს. აღნიშნული აერთიანებს, მათ შორის, სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევებსაც.

წინა პერიოდის მონაცემისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულების გამო სავარაუდო დისკრიმინაციის შესახებ განცხადებების რაოდენობა. განსხვავებული მოსაზრების გამო სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები 14%-ს, ხოლო პოლიტიკური შეხედულების ნიშნით - 7%-ს შეადგენს. წინა საანგარიშო პერიოდში

[72] 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

განცხადებების 12% განსხვავებულ მოსაზრებას, ხოლო 9% პოლიტიკურ შეხედულებას შეეხებოდა.

2019 წელს რელიგიის ნიშნით თანასწორუფლებიანობის დარღვევაზე განმცხადებელთა 14% დავობდა, ეთნიკური წარმომავლობის გამო დისკრიმინაციაზე 4% და სექსუალური ორიენტაციის ანდა გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციაზე კი 14% მიუთითებდა. აღნიშნული აერთიანებს ასევე მომართვებს სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები რელიგიის ნიშნით - 11%-ს, ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით - 8%-ს, სექსუალური ორიენტაციის ანდა გენდერული იდენტობის გამო კი 8%-ს შეადგენდა.

შემცირებულია მომართვიანობა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებთან მიმართებით. აღნიშნული ნიშანი 2019 წელს განცხადებების მხოლოდ 3%-ში გამოიკვეთა, წინა პერიოდში კი ამ საფუძვლით დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 6% დავობდა. ასაკის და მოქალაქეობის გამო განსხვავებულ მოპყრობას საქმეთა 2% და 7%-ში ვხვდებით, წინა წელს ეს მონაცემი, შესაბამისად, 3% და 2% იყო.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი - 21% *სხვა ნიშნით* სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხება. წინა პერიოდში ეს მონაცემი 14%-ს შეადგენდა.



წინამდებარე საანგარიშო პერიოდში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების 61% საჯარო სექტორს, 39% კი კერძო სექტორს მიემართებოდა. წინა პერიოდში განმცხადებლების 69%

საჯარო სექტორში, 31% კი, კერძო სექტორში ჩადენილ დისკრიმინაციის ფაქტებზე მიუთითებდა.



წინა წლების მსგავსად, ამ საანგარიშო პერიოდშიც, განმცხადებლების უმრავლესობა სახალხო დამცველს წარმომადგენლის გარეშე მომართავდა. წარმომადგენელი ჩართული იყო განცხადებების 24%-ში. ამათგან, „თანასწორობის კოალიციის“[73] წევრი ორგანიზაციები განმცხადებელთა 12%-ს წარმოადგენდნენ.

2. გადაწყვეტილებები

2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა 6 შემთხვევაში დაადგინა დისკრიმინაცია და მოპასუხეებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა, ამასთან, დისკრიმინაციის წახალისების შესახებ 2 ზოგადი წინადადება გამოსცა. ამათგან, 3 გადაწყვეტილება საჯარო პირს,[74] 5 რეკომენდაცია კი კერძო კომპანიებს მიემართებოდა. ასევე, სახალხო დამცველმა საერთო სასამართლოებს 5 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი კერძო პირების მიერ რეკომენდაციების გაზიარების ტენდენცია.

[73]„კოალიცია თანასწორობის“ წევრები არიან: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საფარი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „იდენტობა“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, „თანასწორობის მოძრაობა“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“.
[74] თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი - თამაზ მეჭიაური, საქართველოს პარლამენტის წევრი - ემზარ კვიციანი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მაგალითად, სს სადაზღვევო კომპანია „არდიმ“, რომლის წინააღმდეგ ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია დადგინდა,[75] სახალხო დამცველს აცნობა, რომ გაიზიარა რეკომენდაცია და *გააუქმა ასაკობრივი ზღვარი სამოგზაურო დაზღვევის მსურველთათვის, ასევე, განახლა 65+ პირებისთვის სპეციალური სადაზღვეო კითხვარი, რათა ობიექტურად განსაზღვრონ მომეტებული რისკები უშუალოდ რისკების არსიდან და არა ასაკიდან გამომდინარე.*

ამასთან, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიმართ განსხვავებული მოსაზრების გამო შევიწროების შესახებ რეკომენდაციის[76] საპასუხოდ, კომპანიის დირექტორმა წარმოადგინა გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რომლის თანახმად, კომპანია იზიარებს შევიწროების ფაქტის დადგენის თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციას, თუმცა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციაზე რჩება. ამის მიუხედავად, დირექტორის განმარტებით, კომპანიაში შეიქმნა ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დროულ და ეფექტიან რეაგირებას, როგორც თანამშრომლების მიერ ჩადენილ გადაცდომებთან მიმართებით, ასევე, თანამშრომლების საჩივრებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ კერძო კომპანიის ხელმძღვანელის მიერ სექსუალური შევიწროების ჩადენის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, შემავიწროებლისგან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ის უსამართლობად მიიჩნევს სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენას. მოპასუხემ ასევე მიუთითა, *რომ წაიკითხა, განიხილა საკუთარ თავთან და ისევე როგორც წარსულში, არც მომავალში აპირებს შეუქმნას ვინმეს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ღირსების შემლახავი სამუშაო გარემო.* სახალხო დამცველს ინფორმაცია მოაწოდა კომპანიის დირექტორმაც, რომ *რეკომენდაციაში ასახული საკითხები ვარაუდებზე დაყრდნობით არის მიღებული და კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე მოქმედებები.* თუმცა, დირექტორის განმარტებით, *კომპანიაში არსებულ შრომის შინაგანაწესში ასახულია დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები და უზრუნველყოფილია მათი შესრულება.* ასევე, მოპასუხე კომპანიის დირექტორმა აღნიშნა, რომ *მან მოიწვია კომპანიის თანამშრომელთა საერთო კრება, სადაც კიდევ ერთხელ განუმარტა და გააცნო კანონმდებლობით დადგენილი დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები.*

თუმცა, მეორე მხრივ, ტელეკომპანია „იმედმა“ საკუთარი პოზიცია არ წარმოადგინა განსხვავებული მოსაზრების გამო დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციის[77] განხილვის შედეგების შესახებ. აკადემიური მოსწრების გამო დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაცია[78] არ გაიზიარა არც შპს „საქართველოს უნივერსიტეტმა,“ რომელსაც სახალხო დამცველმა მიმართა, შეცვალოს სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტის (GPA) მიხედვით სტუდენტების სეგრეგაციის წესი. „საქართველოს უნივერსიტეტში“ არსებული პრაქტიკის თანახმად, 2-ზე დაბალი GPA-ს მქონე სტუდენტებს საგნების არჩევა-

[75] ხელმისაწვდომია: shorturl.at/atBIS
[76] ხელმისაწვდომია: shorturl.at/chuLQ
[77] ხელმისაწვდომია: shorturl.at/gpMRS
[78] ხელმისაწვდომია: shorturl.at/nsvA6

რეგისტრაციის პერიოდში არ ეძლევათ შესაძლებლობა, აირჩიონ ყველა შემოთავაზებული სალექციო ჯგუფი და დრო, ხოლო, 2-ზე მაღალი GPA-ს მქონე სტუდენტებს, მსგავსი შეზღუდვა არ აქვთ. პირველი სემესტრის სტუდენტების შემთხვევაში ამგვარი დაყოფა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ხდება. მოპასუხემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ *უნივერსიტეტის კომპეტენციაა განსაზღვროს, როგორ და რა მეთოდებით შეიძლება გაიყვანოს სტუდენტი დადებით სწავლის შედეგებზე. ჯგუფების რაიმე კრიტერიუმით დაკომპლექტების გზით სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ეფუძნება უნივერსიტეტის გამოცდილებას.*

რაც შეეხება საჯარო პირების მიმართ გაცემულ მოწოდებებს, გათვალისწინების ტენდენცია უფრო დაბალია. მაგალითად, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი თამაზ მეჭიაური არ დაეთანხმა სახალხო დამცველს, რომ პირის გათავისუფლება მის მიერ უფლების დაცვის საშუალების გამოყენებამ (სახალხო დამცველისთვის მიმართვა) გამოიწვია[79] და განმცხადებელი სამსახურში არ აღადგინა.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის წევრმა ემზარ კვიციანმა არ უპასუხა ზოგად წინადადებას, რომლითაც, სახალხო დამცველმა, აზერბაიჯანულ ენაზე გამომსვლელი განმცხადებლისადმი კვიციანის მოწოდება, *თუ საქართველოს მოქალაქე იყო, ქართულ ენაზე ელაპარაკა,* ეროვნების ნიშნით დისკრიმინაციის წახალისებად შეაფასა.

ასევე აღსანიშნავია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინსიტრომ ლგბტ+ თემის წევრების გამოხატვის და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის და სხვა ძალადობრივი ფაქტების შესახებ გამოძიების, ამ მიმართულებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა დაგეგმილი თუ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, სამინისტრომ მხოლოდ სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების[80] მიღების შემდეგ წარმოადგინა.

3. თანასწორობის უფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

2019 წელს სახალხო დამცველი განაგრძობდა თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით საქმიანობას. თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს მასშტაბით 50-მდე საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი ჩაატარეს. ამ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო შეხვედრებისას განსაკუთრებული აქცენტი, სხვა საკითხებთან ერთად, სექსუალურ შევიწროებაზე კეთდებოდა, ძირითად სამიზნე ჯგუფებს კი შინაგან საქმეთა სამინსიტროს და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების თანამშრომლები წარმოადგენდნენ. საერთო ჯამში, 2019 წლის განმავლობაში თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები შინაგან საქმეთა სამინსიტროს - 110 და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 150 წარმომადგენელს, საჯარო სკოლების 25 მასწავლებელს, შრომის ინსპექტორებს, დამსაქმებელთა ასოციაციის, პროფესიული კავშირების და სხვადასხვა საჯარო უწყების 80-მდე წარმომადგენელს შეხვდნენ.

[79] ხელმისაწვდომია: shorturl.at/kCINT
[80] ხელმისაწვდომია: shorturl.at/pruF4

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მესტიაში, ლენტეხში, ცაგერში, ამბროლაურში, ონში, ტყიბულში, საჩხერესა და ჭიათურაში ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის წახალისების და თანასწორობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ისაუბრეს და ჯამში 16 შეხვედრა გამართეს. თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესწავლის საკითხზე საქართველოს მასშტაბით შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩაატარეს ორი ტრენინგი, თანასწორობის საკითხებზე თითო-თითო ტრენინგი კი მარნეულის მუნიციპალიტეტის ორგანოების წარმომადგენლებისა და საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა. საჯარო მოხელეებთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ლაგოდეხის, ახალციხის, ახალქალაქის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებშიც.

IV. დასკვნა

2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. დისკრიმინაციის აკრძალვის საკანონმდებლო რეგლამენტაციამ აქტიური დისკუსია გამოიწვია და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ინფორმაცია მიეწოდა თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ერთი მხრივ, არაერთმა მსხვერპლმა შეძლო მის მიმართ არსებული დისკრიმინაციის იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება, მეორე მხრივ კი, საჯარო თუ კერძო პირებმა გააცნობიერეს თანასწორობის პრინციპის დაცვის ვალდებულება და მნიშვნელობა. 2019 წელს ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც გაძლიერდა სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის მანდატი და დისკრიმინაციის ფორმებად გაიწერა *შევიწროება* და *სექსუალური შევიწროება.*

თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში თანასწორობის მდგომარეობის მხრივ, წლიდან წლამდე, არსებითი გაუმჯობესება არ იგრძნობა, დაუცველი ჯგუფებიც, მეტ-ნაკლებად, განგრძობად პრობლემებს აწყდებიან. აღნიშნული განპირობებულია სახელმწიფო დონეზე თანასწორობის მიღწევის სისტემური ხედვის არარსებობით და გადაწყვეტილების მიმღები პირების ნების არქონით, ხელი შეუწყონ ქვეყანაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

ფორმალური თანასწორობის გარანტირების მიუხედავად, ცალკეული დაუცველი ჯგუფები კვლავ ვერ სარგებლობენ მათ საჭიროებებზე მორგებული გარემოთი, ურომლისოდაც, მათთვის, თანასწორუფლებიანობის მიღწევა, პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების და წინასწარ განწყობების ფონზე, ძალიან ნელა მიმდინარეობს ტრანსფორმაციული თანასწორობის მიღწევის პროცესი, რასაც ხელს პოლიტიკოსების და სხვა საჯარო პირების დისკრიმინაციული განცხადებებიც აფერხებს.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას თანასწორობის მიღწევის პროცესში საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის, კერძო სექტორის და, განსაკუთრებით, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს როლზე და იმედს გამოთქვამს, რომ 2020 წელს საქართველოში თანასწორობის მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, არსებით ცვლილებებს ექნება ადგილი.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

- უზრუნველყოს საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

- უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის ბრაილის შრიფტით და სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

- არსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის, საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად
- უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის შემთხვევაში, დაფინანსებისთვის, და ორსულობის შესაწყვეტად საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით და შესაბამისი ცვლილება შეიტანოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებაში
- მოამზადოს საქართველოს ორგანულ კანონში, „შრომის კოდექსი“, და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, შესაბამისად, შვებულებით სარგებლობის საკითხი

- სამედიცინო დაწესებულებების მიმართ განახორციელოს ეფექტიანი ზედამხედველობა, რათა აღმოიფხვრას ქალის საშვილოსნოს მილების გადაკეტვისას (სტერილიზაცია) მისი მეუღლის/პარტნიორის თანხმობის მოთხოვნის პრაქტიკა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- საქართველოს საზღვრის კვეთისას რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით და ინდივიდუალურ საფუძველზე განახორციელოს პირთა საპასპორტო-სავიზო კონტროლი
- გაატაროს ქმედითი, პრევენციული და პროაქტიული ღონისძიებები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის და შეკრების თავისუფლებების დასაცავად
- უზრუნველყოს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება.

სსიპ შემოსავლების სამსახურს

- საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით და ინდივიდუალურ საფუძველზე განახორციელოს პირთა შემოწმება და თანმდევი პროცედურები.

საქართველოს პროკურატურას

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტისთვის გაწეული საქმიანობის შესახებ წარდგენილ ანგარიშში ასახოს ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნულ ბანკს

- შეიმუშავოს მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კომერციულ საბანკო მომსახურების მიღებას დისკრიმინაციის გარეშე, მომხმარებლის მოქალაქეობის მიუხედავად.

მუნიციპალიტეტების საკრებულოებს

- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით მოსარგებლე პირთა წრე განსაზღვრონ იმგვარად, რომ გამოირიცხოს რომელიმე ნიშნით დისკრიმინაცია.